წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 17 ივლისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 26

## ჟურნალის შინაარსი

ძველი მუშების ხმა—**კოლია ჯანელიძე; პოლიკარპე გოგიაშვილი**; დემოკრატიზმის ყოფილი ვესტალკები—**ყარიბი**; რა ქნას საქართველომ—**ლეო შენგელაია**; ნ. ჟორდანიას სამართლიანი პესიმიზმი—**ალ. ხელაძე**; ბურჟუაზიული სასამართლოები—**ს. ელიაძე**; გვაკმარეთ—**ტ. ტულუში**; ყოფ. მენშევიკ და უპარტიო ქალთა კრება—**დამსწრე**; ბრძოლა მათ—**ნ. ზომლეთელი**; ნატახტარის წყაროები თბილისში—**ს. დოლიძე**; მენშევიზმი და საბჭოთა საქართველო—**კომახიძე**; მორიგ პროვოკაციის გამო—**კ. კობახიძე**; წერილები პროვინციიდან.

# ძველი მუშების ხმა*)

I

დადგა მომენტი, როცა გაჩუმება შეუძლებელია. მეც მინდა ორიოდე სიტყვით გამოვეხმაურო ჩემს ძველ ამხანაგების გულისწყრომას.

1917 წელს, როგორც ყველამ ვიცით, იყო ერთი პარტია, რ. ს.-დ. მ. პარტია. ჩვენ ვიყავით მისი წევრები. და მასში იყო ორი ფრაქცია, ბოლშევიკ-მენშევიკებისა. ორივე ფრაქცია ყველა რევოლიუციონურ გამოსვლებში ერთად მუშაობდა. ჩვენი მიზანი იყო, რომ გვებრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაშინ, რომ ვინმესთვის გეთქვა: ერთმანეთს თოფები დავუმიზნოთ და მილიუკოვს გვერდში ამოუდგეთო, ამას არავინ არ დაიჯერებდა. 1917 წ. ჩვენ დავამსხვრიეთ ნიკოლოზ რომანოვის ტახტი. ლენინის ხელმძღვანელობით, წაიშალა სოც.-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება და დაიწერა კომუნისტური პარტია.

—

რა შევქმენით ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მაშინ, როდესაც ყველას ველაპარაკებოდით, რომ ჩვენი მიზანია სოციალიზმი და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა? ოქტომბრის რევოლიუციას ებრძოდა თეთრგვარდიელები დენიკინისა და სხვების მეთაურობით. რას აკეთებდა ს.-დ. პარტია უკანასკნელი სამოქალაქო ომის დროს? ნეიტრალიტეტს იცავდა და სეირს უყურებდა. ეს მოქმედება აშკარა ღალატი იყო ოქტომბრის რევოლიუციისადმი.

—

რუსეთში გასაბჭოების შემდეგ საქართველოს სოც.-დემოკრატიამ ამიერ-კავკასიაში შექმნა სეიმი და მთავრობა. მის დაშლის შემდეგ გაჩნდა სამი სახელმწიფო: საქართველო, სადაც ბატონობდა მენშევიკური პარტია, აზერბეიჯანი ბეგების წარმომადგენლების მუსავატელების ბატონობით და სომხეთი, რომლის ბედსაც განაგებდნენ დაშნაკელები ვითომ სოციალისტები—ნამდვილად კი ბურჟუაზიის ერთგული დარაჯები.

საქართველოში ჩვენის სახით ბატონობდა სოციალისტური პარტია, აქ ჩვენ სურვილების გარეშე შემოვიდა ოსმალეთი, გერმანია, ინგლისი, რომელთა სურვილების თანახმად მუშაობდა ჩვენი მთავრობა. მაშინ, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მიმართა მუშათა კლასის წრიდან გამოსულს მთავრობას თხოვნით: ჩამოართვით მემამულეებს მიწა და ჩვენ გადმოგვეცითო. ამას ჟორდანიამ უპასუხა:

ხომ იცით, აქ ინგლისელებია და ამით განწყინდებინაო.

ეს იყო ერთი ნაბიჯი უკანდახევისა: იყო ასეთი მაგალითი ქუთაისში: სახელმწიფო დაწესებულებისათვის სახლი არა გვქონდა. გადავწყვიტეთ ერთი მდიდარი ვაჭრისათვის სახლის ჩამორთმევა. ამ ვაჭარს ამ სახლის გარდა სხვა ათი სახლი ჰქონდა. ჩვენ გავგზავნეთ დელეგაცია ჟორდანიასთან სახლის კონფისკაციის შესახებ, მაგრამ მან უარით გამოისტუმრა დელეგატები.

ახლა ჩვენს წინაშე ასე სდგას საკითხი: ვინ ვართ? რანი ვართ? რათ ვრჩებით?

თუ ჩვენ მუშები და სოციალისტები ვართ ვისთან უნდა დავდგეთ? თუ ჩვენი მიზანი იყო და არის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ გვერდით უნდა მივუდგეთ კომუნისტურ პარტიას, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ ბურჟუაზია... დღეს წმინდა კლასიური ბრძოლაა. სად უნდა მივიდეს სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრები, რომლებიც დღეს სოციალისტებს ეძახის თავის თავს? დაუშვათ: ამ ბრძოლაში კომუნისტური პარტია დამარცხდა, ვინ დაიჭერს მის ადგილს რუსეთის სინამდვილეში. განა სხვა სოციალისტები ძოვლენ რუსეთში სოციალიზმის დასამყარებლად? რასაკვირველია არა, რადგან რუსეთში ასეთი ძალა არ არსებობს. არის ორი ძლა: ერთის მხრივ მუშათა კლასი და მეორეს მხრივ გახიზნული მონარქისტები და მათი მიმდევრები. განა მუშა მხარს დაუჭერს იმ ხალხს, რომელიც მეორე დღეს ტახტზე მონარქს დაასკუპებს? რასაკვირველია არა. დაუშვათ დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება და მის მაგივრად მოვი-

*) ეს წერილები ერთობ დაგვიანებით იბეჭდება.

რედ.

და ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარეთ და ან რამიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრად... რა უნდა აკეთონ მათ აქ? ჩამორთმეული სახლები და მამულები უნდა დაუბრუნონ ბურჟუაზიას და მემამულეებს. სახელმწიფო უნდა გადააბარონ ჩვენს მტრებს...

ვინც აძას მოისურვებს, ის თავის თავის და მუშათა კლასის მოღალატეა.

ჩვენში არალეგალურ მუშაობას ჰქონდა ადგილი, ვფიქრობდით: ავიღებთ იარაღს ხელში და დავსცხებთ ხელისუფლებასო.და ის კი გვავიწყდებოდა, რომ ეს თავის თავის დამარცხება იყო. დავმარცხდებოდით ჩვენ, დამარცხდებოდა სოციალიზმი ყველგან და დიდი ხნით. მუშათა კლასს იარაღი უნდა ეკავოს ხელში მმართველი პარტიასთან ერთად როგორც გარეშე საფრთხის, ისე შინაური მტრის წინააღმდეგ. ამ საბედისწერო მომენტში გაჩერება იქნება ღალატი მუშათა კლასისა და სოციალიზმის მიმართ.

—

მე გადასახლებული ვიყავი და ერთი წლით, რაც დავბრუნდი საქართველოში. როდესაც მანთავისუფლებდნენ, შემეკითხენ: რას იზამ სამშობლოშიო? მე ვუპასუხე: წავალ, გადავხედავ საქმეს და ისე ვიმოქმედებ, როგორც მდგომარეობა მიკარნახებს მეთქი.

ერთი წელიწადი გაჩერებული ვიყავი, არაფერს ვამბობდი, ეხლა კი ვმუშაობ, უნდა გავერთიანდეთ ერთი დროშის ქვეშ და უნდა ვიბრძოლოთ ბურჟუაზიის საბოლოო დამარცხებისათვის.

გაიხსენეთ ერთი ბრძენის არაკი, როცა მოხუცდა მან დაუძახა თავის შვილებს, აიღო ერთი კონა წკნელი, მისცა კონა სათითაოთ შვილებს და უთხა გასტეხეთო, მაგრამ რომ ვერც ერთმა ვერ შესძლო. შემდეგ გახსნა თვითონ წკნელი დაურიგა ცალ-ცალკე და უთხრა დაამტვრიეთო. მათაც ადვილად შესძლეს დამტვრევა. ბრძენმა უთრა: თუ არ გაიყოფით და ერთად იქნებით ვერავინ ვერაფერს ვერ გიზამთ, ცალ-ცალკე კი ყველა მოგერევათო. ასეთი შემთხვევაა დღეს ჩვენ თავზე. თუ მუშათა კლასი გაერთიანებული იქნება ერთ ოჯახში მას მტერი ვერაფერს დააკლებს.

კოლია ჯანელიძე

## II.

მეც მინდა სიჩუმე დავარღვიო იმიტომ, რომ მომენტი მოითხოვს ამას. მეც მინდა გამოვარკვიო: ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

მზადდება დიდი ცეცხლის კოცონი. მსოფლიო ომმა ჩვენს ზურგზე გადაიარა და მოსალოდნელი ომიც ჩვენს ზურგზე გადაივლის. აქ განსხვავება იმაშია, რომ წარსულ ომს, როგორც იყო გავუძელით, მომავალ ომს, რომელიც წარსულზე გაცილებით უფრო დიდი იქნება, შესაძლებელია ვერც კი გავუძლოთ.

დღეს უაღრესად რთული მომენტია. მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები ინგლისის მეთაურობით სასიკვდილოთ ლესავს მახვილს სოციალიზმისა და მისი ერთადერთი მებაირახტრე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისი ყოველგვარ ქსელს აბამს საბჭოთა კავშირის გარშემო. ვაჭარი და ანგარიშიანი ინგლისისათვის ჩვენი კავშირი საშიშარი არ არის. რასაკვირველია, ჩემბერლენს რუსეთის საქონლის შიში არა აქვს. მაშ რაშია საქმე? მთავარია წითელი დროშა, რომელიც დღეს მოსკოვს უკავია ხელში. აი მთავარი საფრთხობელა ინგლისისათვის. ევროპის მუშათა კლასში გათვითცნობიერება და გამემარცხენება ხდება, რომელიც ხელს უწყობს ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის შესუსტებას. ოქტომბრის რევოლიუციას მისჩერებია, მსოფლიოს მშრომელი მოსახლეობა. ინგლისისთვის ყველაზე უფრო საშიშარი წითელი დროშაა, რადგან მას აქვს ვეებერთელა კოლონიები და მისი დაკარგვის შემდეგ ინგლისის ძლიერება ყინულზე დაწერილი იქნება. ინგლისი ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ საბჭოთა კავშირს გვერდში უდგია ოთხას მილიონიანი ჩინეთი. ამიტომ ცდილობს ინგლისი, რომ რაც არ უნდა დაუჯდეს შექმნას საერთო ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმეგ, ომში ჩაითრიოს იგი. თუ მან ეს შესძლო, თუ ომი დაიწყო, უპირველეს ყოვლისა ყველა ერის მშრომელ კლასებს მოელის განადგურება, როგორც მატერიალურად, ისე ფიზიკურად. აქ ვერც საქართველო დარჩება ომის გარეშე. დღეს ისტორია პირდაპირ აყენებს ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს... ამ საშიშროებას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენი ყოფილი კეთილი მთავრობა ცდილობს 1924 წლის ტრაღედია ისევ განიმეოროს. ის კიდევ ცდილობს უდიდესი უბედურება დაატეხოს თავზე ქართველ ხალხს. ის მას ურჩევს: უღალატე შენს საკუთარ ხელისუფლებას, ზურგში მახვილი დაეცი მას და მის მოსისხლე მტრებს მიემხროე... ეს უბადრუკი „მთავრობა“ სომხეთის ბედს უმზადებს ქართველ მშრომელ ხალხს... და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მეც ვბედავ ჩემთვის უჩვეულო იარაღს—კალამს მოვჰკიდო ხელი და ჩემს ამხანაგ მუშებსა და გლეხებს მივუთითო იმ საშიშროებაზე, რომლის წინაშეც მას აყენებს ჟორდანია-რამიშვილი.

ვთქვათ გულახდილად: ჩვენში თუმცა კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც სწარმოებს არალეგალური მუშაობა. რადგან მომენტი ამას ხელს უწყობს და ფიქრიც არის იარაღის ჩხარუნის შესახებ. ეს დიდი უბედურებაა. რადგანაც ეს მუშაობა მხოლოდ პროლეტარიატის წინააღმდეგ არის მიმართული. ინგლისისათვის ჩვენში გართულებულ მომენტის დროს უბრალო რაზმის შედგენის შესახებ ცნობაც კი დიდ პლიუსს წარმოადგენს. ის ამ მიზნისათვის მილიარდებს ხარჯავს. მისი გასროლილი ტყვია მშრომელ ხალხს უნდა მოხვდეს გულში... ამიტომ ვიტყვი, რომ დღეს კომუნისტების წინააღმდეგ არალეგალური მუშაობა უდიდესი დანაშაულია, უდიდესი გამცემლობაა პროლეტარიატის წინაშე. დღეს უნდა გადაწყდეს არა თუ სოციალიზმის, თვით იმპერიალიზმის ყოფნა არყოფნის საკითხი.

ოთხას მილიონიან ჩინეთის ხალხს დღეს ვერავითარი ძალა ვერ გააჩერებს. ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვება იქნება ევროპის იმპერიალიზმის სასიკვდილოთ დაჭრა. ეს იქნება ევროპის ბურჟუაზიის ხამარე. ევროპის ბურჟუაზია მთლიანი ფრონტით ეპირება სოციალიზმისა და მისი მებაირახტრე კომუნიზმის წინააღმდეგ; ის სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს ყველა დაჩაგრულ ერებს... და ასეთ დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება აშკარა თოფის სროლა იქნება საკუთარი ერის გულში.

ნუთუ ჩვენ, ქართველი სოციალისტები, რომლებმაც მთელი თავისი წარსული შევსწირეთ კაცობრიობის საუკეთესო მერმისისთვის ბრძოლას, დღეს ვუღალატებთ სოციალიზმს, მშრომელ ხალხს, პროლეტარიატს, გლეხკაცობას?

—

წარმოუდგენელია ამხანაგებო, რომ ჩვენში გამოერიოს ასეთი იუდა. არ მინდა ვიფიქრო, რომ ვინმე ჩვენგანი მოიცხებს ასეთი მოღალატეობისა და სოციალიზმის გამცემლობის წაუშლელ ლაქას.

პოლიკარპე გოგიაშვილი.

# დემოკრატიზმის ყოფილი ვესტალკები

II

ქართველ ემიგრაციის ბელადებს ხალხის მოტყუილების სენი დღეს არ შეყრიათ. ამ სენით ისინი საქართველოშივე იყვენ შეპყრობილი. ისინი აქვე ატყუებდენ ქართველ ხალხსა და მის დამფუძნებელ კრებას, ამ უკანასკნელის არსებობის ბოლო წუთებშიაც კი.

მაშინ, როცა საქ. დემოკრ. რესპუბლიკის ტრაღედიის უკანასკნელი აქტი უკვე დასრულებული იყო და ის-ის იყო ფარდა უნდა დაშვებულიყო, ჟორდანია-რამიშვილი ორნაირად ატყუილებდენ ქართველ დემოკრატიას და მის საკანონმდებლო ორგანოს, რომლის სახელითაც დღეს ისინი ევროპაში გამოდიან.

ერთის მხრით ისინი ქართველ ხალხს პროვოკაციას უკეთებდენ ევროპის სახელმწიფოების „მატერიალური დახმარების“ იმედით. მეორეს მხრით ყოველგვარ სიყალბეს თხზავდენ და ბეჭდავდენ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო გართულებისა და დაღუპვის აუცილებლობის შესახებ.

ჟორდანია-რამიშვილის დღევანდელ „მოღვაწეობაში“ ახალი არაფერია, ისინი დღეს ძველ ჭამანჩას უკრავენ, ძველებურად აწარმოებენ ხალხის მოტყუილებას და პროვოკაციას.

მოვაგონოთ მკითხველებს ამ სიყალბისა და ხალხის მოტყუილების ზოგიერთი ნიმუშები.

დავიწყოთ ევროპის სახელმწიფოების დახმარების იმედებით.

—

ჩვენ, ყოფილი დამფუძნებელი კრების ყოფილმა წევრებმა, ჩინებულად ვიცოდით, რომ ევროპის სახელმწიფოები ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევდენ კომუნისტებთან დამოკიდებულების გართულების დროს. ჩვენ ვიცოდით, რომ მათ არავითარი „მატერიალური დახმარების“ აღმოჩენა არ შეეძლოთ ჩვენთვის, რადგანაც იმ დროს ისინი უკვე დამარცხებული იყვენ კომუნისტებთან ბრძოლაში და უგუდოთა და უნაბდოთ გარბოდენ ბრძოლის ველიდან. მათ მხოლოდ დროებით, სულ რამოდენიმე კვირით, შემოაფარეს თავი ჩვენი „დამოუკიდებელი ნეიტრალური“ დემოკრატიული რესპუბლიკას, რის საფასურადაც ჩვენი „იურიდიული ცნობა“ გამოიმეტეს... ეს იყო და ეს.

ჩვენ ყველა ვხედავდით, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ჩვენთვის არ ეცალათ. ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებდა ის გარემოება, რომ დასახელებული სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდენ საქართველოს დედა ქალაქში, ყოველ წუთში გასაქცევად იყვენ მომზადებული... იმათ ჟორდანია-რამიშვილზე უფრო ეშინოდათ კომუნისტების. ამიტომ იყო, რომ ჯერ ლორის რაიონში თოფიც არ გავარდნილიყო, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები ქურციკივით გარბოდენ შავი ზღვისაკენ.

ეს ასე იყო. ამას ყველა ჩვენგანი ხედავდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართველი ემიგრაციის დღევანდელმა ხელმძღვნელებმა მათ მიერ გაბრიყვებულ ქართველ ხალხს ყურები გამოუჭედეს:—გამოდით. იბრძოლეთ. ევროპის დიდი სახელმწიფოები ჩვენთან არიან.. ისინი „**მატერიალურ დახმარებას**“ გვიწევენო...

და აქ საკვირველი მარტო ის კი არ არის, რომ ასეთი დიდი ჭორი გაზეთებში იბეჭდებოდა. ასეთ შემთხვევაში ეს კიდევ გასაგები იქნებოდა. გასაკვირველი აქ მხოლოდ ის არის, რომ ასეთი ჭორებით გამოდიოდენ საქ. დემ. რესპუბლიკის მთავრობის წევრები, მაგალითად, „საქმეთა გარეშე მინისტრი“ ევგენი გეგეჭკორი.

ამ წარჩინებულმა გვამმა ვერც კი მოასწრო ბათომში ჩამობრძანება ევროპიდან, სადაც ის საქართველოში „უდიდესი მუშაობით დაღლილ-დაქანცულთ“ დროს გასატარებლად წაბრძანდა, და ბათომიდანვე „ევროპის დახმარების“ იმედები მოგვაშველა.

აი რას ვკითულობთ. ს. ს. დ. პარტიის ოფიციოზ გაზეთ „ერთობაში“:

„27 თებერვალს ევროპიდან ბათომში ჩამოვიდა საქართველოს მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი. 28 თებერვალს ის პირდაპირი მავთულით ელაპარაკა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გრ. ლორთქიფანიძეს. გეგეჭკორმა მას გადმოსცა, რომ **ევროპიდან დახმარება იქნებაო**“.

ამას ამბობს ოფიციალური პირი, ამას ეუბნება დამფუძნებელ კრებასა და ხალხს გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელიც ეს-ეს არის ბრუნდება ევროპიდან. მოდით და ნუ დაუჯერებთ!

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ რამიშვილი და მისი ჯამიტლაკიები აქვე, ჩვენში, თვალსა და ხელს შუა ხანხლავდენ ფეხ-მოკლე ტყუილებს და ხალხის თვალების ასახვევად, მისა მოსატყუებლად და გასაბრუებლად გამოქონდათ.

„საქართველოს ზნეობრივსა და ნივთიერ დახმარებას უწევს ევროპა, საფრანგეთის დრედნოუტები ცდილობენ შეაჩერონ და დააბრკოლონ წითელი ჯარების შემოსევა და მის ტერიტორიაზე სვლა“. (იხ. „ერთობა“, № 53, 1921 წ. 13 მარტი).

„საქართველოსადმი მიყენებული ძალადობის წინააღმდეგ გრგვინავს სოციალისტური მსოფლიო, ყველა ქვეყნის სოციალისტური „პარტიები“. (იქვე).

როგორ გაიგეს ეს „სოციალისტური მსოფლიოს გრგვინვის“ ხმა ნოე რამიშვილმა და მისმა ამხანაგებმა ბათომში, როცა ანგორიდან მათი წარმომადგენელი ს. მდივნის ხმის გაგონებაც კი ვერ მოეხერხებიათ და რისთვისაც აღელვებულ ზღვაში სპეციალური კაცის ნავით გაგზავნის მეტი ვერაფერი საშუალება ვერ გამოენახათ?

დავტოვოთ ეს საკითხი რამიშვილის საიდუმლოებათ და დავუბრუნდეთ საფრანგეთის დრედნოუტებსა და მათ „დახმარების“ საქმეს.

„ იმ კრეისერებს, რომლებიც გვეხმარებოდენ გაგრის ფრონტზე 27 თებერვალს, კიდევ მიემატა ერთი ახალი კრეისერი, რითაც გაგრის ფრონტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია“ (ერთობა“, № 44, 1921 წ.)

ასე სწერდენ ეს „გმირი“ მეომრები მაშინ, როცა გაგრის ფრონტის მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესებული არ იყო, ასეთი ფრონტი არც კი არსებობდა. ასე ატყუებდენ ხალხს იმ დროს, როცა არა თუ გაგრა, მთელი საქართველოს ტერიტორიის 95 პროც. კომუნისტების ხელში იყო.

მაგრამ გავანებოთ ამას თავი და ვიკითხოთ: სად იყო ეს დრედნოუტები?

მართალია 7 მარტს, როცა დამფუძნებელი კრება ბათომში ჩავიდა, იქ მართლაც იდგა რეიდზე საფრანგეთის სამხედრო გემი „ვალდეკ რუსო“. მაგრამ ჯერ წითელი ლაშქარი ქუთაისსაც არ გამოცილებოდა, რომ ამ გემით უკვე გაიქცა საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში მოქ. შევალიე.

საფრანგეთის წარმომადგენლის ასეთი გაქცევა ღირს იმათ, რომ მაზე ცოტათი მაინც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

მოქ. შევალიე, რომლის გვარიც ქართულად რაინდათ ითარგმნება, ჯერ კიდევ თბილისში იჩენდა მეტის მეტ ნერვიულობას. თბილისიდან გაქცევის შემდეგ ხომ სულ მეხ-დაცემული იყო იგი. მაგრამ აბა როგორ შეირცხვენდა გვარს და როგორ გაიქცეოდა ქვეყნის დასანახად? ამიტომ ის, ყველასი თვალების ასახვევად, თხზავს აშკარა ტყუილს: საგარეო მინისტრს ევგენი გეგეჭკორს უცხადებს, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომი უკვე დაწყებულია, რომ იგი, შევალიე, გამოწვეულია კონსტანტინოპოლში ახალი დირექტივების მისაღებად. საქართვე-

ლო, რა თქმა უნდა, საფრანგეთის „ორბიტში“ უნდა იყოს. რადგანაც ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთი გერმანიის მხარეზე იქნება, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაუყონებლად გამოგზავნოს ჯარები საქართველოში და კომუნისტები ამიერ-კავკასიიდან გარეკოსო.

რომ მეტი ავტორიტეტი მიეცა თავისი ასეთი განცხადებისათვის, შევალიემ გეგეჭკორს ურჩია: მთავრობის წარმომადგენელი გამატანეთ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ჯარის სარდლობასთან მოსალაპარაკებლად და ახალი ინსტრუქციების მისაღებადო...

მკითხველს, ალბად, ახსოვს, რომ ეს „საპატიო“ როლი ცნობილ „დიპლომატს“ კოწია საბახტარაშვილს ხვდა წილად...

შევალიე დააჯდა „ვალდეკ რუსოს“ და მოკურცხლა, მაგრამ მეორე დღეს გამოირკვა, რომ მან გეგეჭკორი მოატყუა ისე, როგორც ევროპის სახელმწიფოების ყველა წარმომადგენლები ყოველთვის ატყუებდენ ხოლმე საქ. დემ. რესპუბლიკის მთავრობას. გამოირკვა, რომ შევალიემ ყოველი ეს მოსჩმახა მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდა წითელმა არმიამ ბათომში არ მომისწროს, კრეისერი არ დამიზიანოს და მეც არ დამატყვევოსო...

იმპერიალისტური სახელმწიფოები იმდენად უწევენ ანგარიშს პატარა სახელმწიფოებს, იმდენად ეხმარებიან მათ, რამდენადაც ეს უკანასკნელები მათთვის რამე ღირებულებას წარმოადგენენ. აბა რა ღირებულებას წარმოადგენდა დამარცხებულ ჟორდანიას დამარცხებული მთავრობა, რომელიც იმავე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ხელ-გაშვერილი ეხვეწებოდა: მოიღეთ მოწყალება: თან წამიყვანეთ და მით ჩემს საკუთარ სახელმწიფოში ტყვეობას გადამარჩინეთო?

ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენ ცხადათ დაგვანახა იმავე შევალიემ, რომელმაც თავისი დიპლომატიით არა თუ დახმარება არ გაგვიწია (მას ასეთ რამეს არც არავინ ეხვეწებოდა და კიდეც რომ შეხვეწოდა, ის ამას ვერ შესძლებდა), მან თავის გემზე ის ძვირფასი ნივთებიც კი არ დაადებია, რომელიც ჟორდანიას მთავრობას დამზადებული ქონდა თან წასაღებად.

ამის შესახებ ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი დოკუმენტი, რომელსაც აქვე გავაცნობთ მკითხველს. ჩვენს ხელთ არის ოქმი დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციების შეერთებულ კრებისა, რომელიც შესდგა 1921 წლის 9 მარტს ქ. ბათომში და რომელსაც 41 დეპუტატი დაესწრო. აი ამ დოკუმენტიდან ის ამონაწერი, რომელიც ამ საკითხს შეეხება:

„9 მარტი, 1921 წელი. მოხსენებას აკეთებს ექვთიმე თაყაიშვილი იმ ძვირფასი განძეულობის შესახებ, რომლის საზღვარ-გარედ გატანა გადაწყვიტა მთავრობამ იმავე ექვთიმე თაყაიშვილის და ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ელიგულაშვილის თანხლებით. თაყაიშვილმა მოახსენა თათბირს, რომ ის განძეულობა, რომელიც საფრანგეთის სამხედრო გემზე „ვოლდეკ რუსოზე“ აწყვია, არ არის დაკარგვისაგან უზრუნველყოფილიო. ჯერ ეს ნივთები ისე ნაჩქარევად ჩაუყრიათ ტომრებში, რომ იქიდან ზოგი რამ კიდეც გამოცვივა. არ არის შედგენილი ნივთების ნუსხა. ნივთების უმეტესობა ტომრებში ყრია და არა ყუთებში. **გემის ადმინისტრაცია მტრულად გვიცქერის.** ნივთები პოლუბაზე ყრია. შიგ გემში არ ჩაგვატანიეს, მათი უზრუნველყოფაზე ადმინისტრაცია უარს ამბობს... მოითხოვენ ნივთები უკანვე წაიღეთო და სხვა... დამფუძნებელი კრების ფრაქციათა თათბირმა ამ საქმის მოგვარება მიანდო იმავე კომისიას, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ აირჩია ქუთაისში მთავრობასთან კონტაქტის დასაჭერად“.

ამ ნივთების ბედის შესახებ მეტი არაფერი გაგვიგია. ვიცით მხოლოდ, რომ ეს განძეულობა ექვთიმე თაყაიშვილისა და ელიგულაშვილის თანხლებით ევროპაში იქნა გატანილი.

აქედან, ყველასათვის აშკარაა თუ რა თვალით უყურებდა რა ანგარიშს უწევდა საფრანგეთის წარმომადგენელი შევალიე ნ. ჟორდანიას მთავრობას მისი დაცემის წუთებში...

მაგრამ ევროპის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები უწევდენ ანგარიშს ამ განწირულ მთავრობას? არა არც ამის მსგავს რამეს ქონია ადგილი. სრულიად პირიქით: შაველიეს არც ინგლისის წარმომადგენელი სტოქსი ჩამორჩენია უკან „გმირობაში“. ჯერ კომუნისტებს ვერც კი მოესწროთ თბილისის გუბერნიაში წითელი დროშის აფრიალება, რომ სტოქსი ინგლისის სამხედრო გემით ბათომიდან გაიქცა. გაიქცა ისე, რომ არც ერთი ქართველის წაყვანაც არ მოისურვა საზღვ.-გარედ. ევროპის სახელმწიფოებს ჩვენი დახმარების თავი არ ქონდათ. მათი წარმომადგენლები ქურციკივით გარბოდენ საქართველოდან. ეს იცოდენ და იციან საქ. დამფუძნებელ კრების ყოფილმა წევრებმა. ამათ ისიც იციან, თუ რა ტრაღიკულ მდგომარეობაში ჩავარდა ნოე ჟორდანიას მთავრობა, რომელიც გასაქცევად მზად იყო და რომლის წაყვანას არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი არ კისრულობდა...

ბოლოს, როგორი იყო, მხოლოდ იტალიის წარმომადგენელი ჩარრუტი შევიდა ჟორდანიას მთავრობის ტრაღიკულ მდგომარეობაში, მხოლოდ მან მისცა მას **ნება ექირავებია იტალიის სავაჭრო გემები.**

დაიქცეს ჩარუტის ოჯახი: თუ არა იგი, ჟორდანია და მისი მთავრობა საქართველოდან გაქცევას ვერ მოახერხებდენ და ჩვენი ქვეყანა დაზღვეული იქნებოდა ყოველგვარ ავანტიურისაგან.

ახლა სომარი იარაღისა და ამუნიციის შესახებ.

„საფრანგეთიდან უკვე მივიღეთ პირველი პარტია იარაღების და ამუნიციისა. ახლო დღეებში მოვა შემდეგი პარტია, რომელიც უკვე გამოსულია და გზაში იმყოფება“. („ერთობა“. № 44).

რაში იყო საქმე? მართლა გვიგზავნიდა საფრანგეთი „იარაღებსა და ამუნიციას“, თუ ეს ხალხის მოსატყუებლად შეთხზული ჭორი იყო?

გავეცნათ ამ საკითხსაც.

1920 წელს საქ. დემ. რესპუბლიკის მთავრობამ 12 ათასი თოფი იყიდა საფრანგეთში. რამდენათაც ვიცით, ფულიც გადაიხადა, ამისათვის მთელი კომისია იყო გაგზავნილი საფრანგეთში, მგონი, გენერალი ოდიშელიძის მეთაურობით. გავიდა დრო, მაგრამ თოფების მიღებას არაფერი ეშველა... ბოლოს, როცა საქ. დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე დაეცა, როცა მთელ საქართველოში, ბათომის გარდა, კომუნისტების წითელი დროშა აღიმართა, როცა ჟორდანია მისი მთავრობით იტალიის გემ „ფრანც იოსიფ კოროლზე“ იჯდა გასაქცევად, როცა საქ. დემ. რესპუბლიკის ტრაღედიის უკანასკნელი აქტი დასრულებული იყო და ფარდა დაშვებული,—სწორედ ამ დროს გვეუბნებიან:

თოფები ინებეთო.

მაგრამ 12 ათასის ნაცვლად გვიბოძეს და გვიწყალობეს 4 ათასი თოფი და ისიც ყოვლად უვარგისი, დაჟანგული და გაფუჭებული, რომლიდანაც გასროლა შეუძლებელი იყო... და სწორედ იმ დროს, როცა წითელი არმიელების ეშალონები სიმღერითა და მუსიკით ბათომში შემოდიოდენ, ჩვენი ზეინკლები ამ თოფების შეკეთებაზე მუშაობდენ.

ასეთი იყო ის „დახმარება“, რომელსაც ევროპა საქართველოს უწევდა და რომელზე ყვირილით რამიშვილი და მისი დამქაშები ქვეყანას აყრუებდენ.

რაში იყო საქმე? ნუ თუ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს მართლაც არ უნდოდა დაგვხმარებოდენ კომუნისტების წინაალმდეგ?

ძალიან გულითაც უნდოდათ. ევროპის ყველა სახელმწიფოებს სულითა და გულით უნდოდათ საქ. დემოკრატიულ რესპუბლიკის გამარჯვება და კომუნისტების დამარცხება. მაგრამ მათ ცხადად დაინახეს, რომ ეს შეუძლებელი იყო. ევროპის იმპერიალისტებმა ჩვენზე ადრე სცადეს კომუნისტების დამარცხება. ამ მიზნით მათ ალყა შემოარტყეს მთელ რუსეთს, ინტერვენციის რკალში მოამწყვდიეს იგი. მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა. კომუნისტებმა შესძლეს ინტერვენციის რკალის გარღვევა და მათი სასტიკად დამარცხება...

ევროპის იმპერიალისტებს იმის იმედი კი არა ქონდათ, რომ ჟორდანია-რამიშვილის ხელისუფლება კომუნისტებს დაამარცხებს და მათ ძლევა-მოსილ წინ სვლას საუკუნოდ შეაჩერებსო. მათ მხოლოდ სურდათ თავისი საკუთარი უკან დახევა, ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევა მშვიდობიანად და რაც შეიძლებოდა უფრო ნაკლებ სამარცხვინოთ მოეწყოთ. ასეთ დროს ევროპის იმპერიალისტებისათვის საჭირო იყო ბუფერი, რომელიც ცოტა დროებით მაინც შეაჩერებდა მტრის წინ სვლას... და ასეთ ბუფერის როლში გამოიყვანეს საქ. დემ. რესპუბლიკა, რომლის „ნივთიერად" დახმარებისათვის მათ არც ეცალათ, არც სურვილი ქონდათ და კიდეც რომ ქონოდათ, არც შეეძლენ.

არ ეცალათ იმიტომ, რომ დამფრთხალი გარბოდენ ბრძოლის ველიდან.

არ შეეძლოთ, რადგანაც წითელ ლაშქართან საბრძოლველად დიდი ჯარების დაგროვება დასჭირდებოდა... და სურვილი არ ქონდათ, რადგანაც კარგად ხედავდენ, რომ კომუნისტები ამ უმაგალითო ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდენ და ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გამარჯვებულ მტერთან იარაღით ბრძოლას ეკონომიური კავშირის დაჭერა უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ. ამ სამარცხვინო გაქცევის დროს მათი ვაჭრული გონება უკვე ადგენდა პლანებს თუ როგორ მიეღოთ მდიდარი რუსეთიდან ზავისა და კავშირის საშუალებით ის, რის მიღებაც მათ იარაღითა და ძალით ვერ შესძლეს...

ამიტომ იყო, რომ ევროპის სახელმწიფოებმა უმწეოდ დაჰგდეს მათ მიერ გაბრიყვებული ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა და თვითონ, თითქოს აქ არაფერ შუაში არ ყოფილიყვნენ, ქურციკივით გარბოდენ... ამიტომ ცდილობდენ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ისინი აქ კომუნისტებთან საბრძოლველად კი არ ყოფილან მოსული, არამედ ჟორდანია-რამიშვილთან ისე მგზავრად გამოეარონ... და როცა ამ უკანასკნელებს ასეთი „მარცხი" მოუვიდათ, ისინი თავს მართლულობდენ:

Я—не я, лошадь — не моя!

ასე ატყუეილებდენ ქართველ დემოკრატიასა და მის დამფუძნებელ კრებას ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების „მატერიალური დახმარების" იმედებით.

ყველა ამას დაუმატეთ ის სიცრუისა და სიყალბის ქსელი, რომელიც ჟორდანია-რამიშვილმა მოქსოვეს კომუნისტური რუსეთში აჯანყების შესახებ და შიგ ქართველი დემოკრატია გაახვიეს.

კომუნისტები იღუპებიან. ისინი უკვე დაიღუპენ. მოსკოვი აჯანყებულებმა აიღეს. პეტერბურგში უკვე შესდგა ახალი მთავრობა. ყაზარმებში დიდი აჯანყებაა. წითელი ჯარები კომუნისტებს გადაუდგენ. სომხეთი და აზერბეიჯანიდან წითელი ლაშქარი გარბის.

აი ასეთ „ცნობებს" აწვდიდენ ჟორდანია-რამიშვილები ქართველ დემოკრატიას იმ დროს, როცა მათი ბარგი-ბარხანა და ცოლ-შვილი იტალიის გემზე უკვე მოთავსებული და ნოე რამიშვილი კომუნისტების შიშით ღამ-ღამობით საკუთარ ბინაზე ღამის გათევას ვერ ბედავდა და ბათომის გარშემო მდებარე მთებში იმალებოდა.

ასეთი „ცნობებით" მასპინძლობდენ დემოკრატიზმის ეს ყოფილი ვესტალკები ქართველ დემოკრატიას სწორედ იმ დროს, როცა მათი ჯარის სარდლობის ერთი ნაწილი მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას დატყვევებით ემუქრებოდა და ამ დაქადებას სისრულეშიც მოიყვანდა თუ, რომ საქმეში რამდენიმე ქართველი კომუნისტი არ ჩაერეოდენ და ქართველ ემიგრაციის დალაილამა, მადლის გულისთვის, ასეთი სკანდალიდან არ ეხსნათ...

ასე ტყუილებით მოსწამლეს ხალხი ამ საქართველოს ბოროტმა სულებმა, ასე ტყუილებით და სიყალბით გაიქცენ ისინი საქართველოდან. ასე სიყალბესა და ჭორებს აწვდიან ისინი დღეს ევროპიდან მათ მიერ მოტყუებულ ქართველ დემოკრატიას.

**ყარიბი.**

# რა ჰქნას საქართველომ

6

## ვინ არის მოღალატე

«Друг мой. Не оставайся на старом берегу».

**А. Герцен.**

დემოკრატიულ საქართველოში ყველაზე გავლენიანი მენშევიკური პარტია იყო. მას რომ იმ თავითვე შექმნილი მდგომარეობისათვის სწორი ალღო აეღო და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას გულწრფელად დადგომოდა, ჩვენი საქმე დღეს ბევრჯერ უკეთესად იქნებოდა. ეს არის პირველი და უდიდესი დანაშაული, რომელიც საქ. სოც.-დემ. გასაბჭოების შემდეგ ჩაიდინა. მიუხედავად ამისა ჩვენი ერი მდგომარეობაში მაინც გაერკვა და დაადგა იმ გზას, რომელიც ერთად ერთია საბჭოთა სინამდვილეში მისი არსებობისა და წინსვლისათვის.

ჩვენ უკვე გავიგეთ, „ვინ რა სთქვა" და დავინახეთ, რომ ქართველმა ერმა და მისმა საუკეთესო შვილებმა მტკიცეთ აირჩიეს საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის გეზი. გზა აბნეული ემიგრაცია ცდილობს ეს უდიდესი მოვლენა მიაფუჩეჩოს და მოაჩვენოს ქვეყანას თითქოს არაფერი მომხდარა. მან ამოიჩემა ზოგიერთი პირები და ამკობს მათ მოღალატეების ეპიტეტებით, ალბათ, იმ ანგარიშით, რომ საქართველოს არა კომუნისტური საზოგადოებრივი აზრი დააყენოს ზნეობრივი ტერორის ქვეშ და ერის მიერ, უდიდესი მსხვერპლისა და წამორძიკების შემდეგ, მტკიცედ აღებული პოლიტიკურ ორიენტაციაში რყევა და არევ-დარევა შეიტანოს.

მაშ, ვნახოთ ვინ არის მოღალატე?

ქართველი მწერლები და ჟურნალისტები, ხელოვანნი, ქართველი მეცნიერები, ქართველი ექიმები და ინჟინრები, ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი—ყველანი, ვინც ამ ქვეყნად დარჩა—ყველა ესენი მოღალატენი არიან, ვინაიდან ყველამ, დაწყებული **ივანე ჯავახიშვილით** და გათავებული **იოსებ კვარაცხელიათი** აღიარეს საბჭ. ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის აუცილებლობა.

როგორც ვხედავთ, ჩვენ, ე. ი. ისინი, ვინც ემიგრანტულმა პრესამ საგანგებოთ ამოგვიჩემა, მშვენიერ კამპანიაში ვგრძნობთ თავს და ამიტომ შეგვეძლო სრულებით არ მიგვექცია ყურადღება იმ მარგალიტებისათვის, რომლებითაც ჟორდანია-რამიშვილის კამარილა ჩვენ გვამკობს. მაგრამ კოლექციის სისრულისათვის ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ ეს წერილი ვუძღვნათ იმის გამორკვევას, თუ ვინ არის ნამდვილი მოღალატე.

რაში გამოიხატება ჩვენი მოღალატეობა? ვის ვუღალატეთ ჩვენ? ჩვენ ბურჟუაზიის ინტერესებს ვიცავთ? რა თქმა უნდა, არა. იქნებ ჩვენ ფეოდალებს ვიცავთ და მათთვის მიწებისა და ძველი პრივილეგიების დაბრუნებას მოვითხოვთ?—ბრძანეთ! იქნებ ჩვენ კავშირი გვაქვს მონარქისტულ და ფაშისტურ წრეებთან? რა თქმა უნდა, არა. ამას თქვენც ვერ იტყვით. დაასახელეთ თუნდაც ერთი სტრიქონი ჩვენი ნაწერებიდან, რომელიც მიმართული იყოს საქართველოს მუშებისა და გლეხების ინტერესების წინააღმდეგ. თქვენ ამას ვერ იზამთ, ვინაიდან ნათქვამია:

აფრინეს ალალიო, რაც არ არის არარიო.

მაშ, ვის ვუღალეტეთ ჩვენ?

ჩვენ ვუღალატეთ იმ ყალბსა და ჩვენი ერისათვის საბედისწერო ფორმულას, რომელიც ამბობს: რაც ბოლშევიკებისაგან არის—ყველაფერი ეშმაკეულიაო. ჩვენ ვუ-

ღალატეთ იმ ავანტიურისტულ დებულებას, რომელიც ამბობს: „დიდი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვსო. (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“ № 17) და სურს მსოფლიო პრობლემის გადაწყვეტას (ბურჟუაზიულ სამყაროს დავა ბოლშევიზმთან) პაწია ქართველი ერი შესწიროს.

ეს არის ჩვენი დანაშაული, რომლისთვისაც ჩვენ მზათ ვართ ყოველ წუთს წარვდგეთ საქართველოს მუშებისა და გლეხების პიროვნულ სამსჯავროს წინაშე. დამნაშავე და მოღალატე ის არის, ვინც ათი წლის განმავლობაში სხვებს ყურში ჩასჩურჩულებს საბჭოთა ხელისუფლება დღეს თუ ხვალ დაეცემაო და ამით გულს უცრუებს მოქალაქეს აწარმოოს დაშვიდებულად დადებითი მუშაობა. მართლაც და თუ მთავრობა ორ-სამ თვეში დაეცემა, ღირს განა მასთან თანამშრომლობაზე ლაპარაკი და თვის მტვრევა პრინციპებისა და მტრულ გრძნობათა გადალახვა?!

განა რევოლიუციის მოღალატე ის არ არის, რომელიც სულ განაბული უცდის თუ როდის გაიმარჯვებს შავი რეაქცია, რომელსაც ახარებს ყოველი ცნობა ევროპაში რეაქციის გაძლიერების შესახებ?!

ჭეშმარიტად: чему обрадовался сдуру!

რეაქცია იმარჯვებს. მერე ჩვენ რა?! **ის რეაქცია, რომელიც ბოლშევიკების შემდეგ მოვა, არ იქნება ის რეაქცია რომელიც ჩვენ გვინახავს!**

და თუ დღეს იწერება: „ძირს იმპერიალიზმი", „გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას“! „გაუმარჯოს კომუნიზმსო“! მაშინ დაიწერება: „„ძირს სოციალიზმი“, „გაუმარჯოს თვითმპყრობელობასო“! ასე სჯობია?! მაშ, თქვენ რეაქციონერი ხართ და თქვენთან ლაპარაკი ზედმეტია!

ვინც ამბობს: ბოლშევიკები მძულს და მეტი არაფერი ვიცი, ის დაკარგულია, როგორც რევოლიუციისათვის, ისე საქართველოსათვისაც. **მან მართლაც არაფერი იცის.** მან არ იცის, რომ **პოლიტიკა არ შენდება სიძულვილსა და სიყვარულზე!**

ძველად მარქსისტები ჩვენ გვასწავლიდენ: **საჭიროა არა სიცილი, არა ტირილი, არამედ გაგებაო.** დღეს ეს დებულება დაივიწყეს თვით იმათ, ვინც ჩვენ მას გვასწავლიდა!

ნ. ჟორდანიას ფორმულა: ევროპის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო (ე. ი. ბოლშევიკებსო) არის რბილად, რომ ვსთქვათ ობივატელური ფორმულა.

ჭეშმარიტმა სოციალისტმა, თუნდაც ის ბევრ რამეში ბოლშევიკებს არ ეთანხმებოდეს, უნდა სთქვას: **ბოლშევიკური „ჯოჯოხეთი“ მირჩევნია რეაქციონერების სამოთხესო.** სხვა გზა, სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს, თუკი ჩვენ სოციალისტები ვართ!

ესაო და რაკი ბოლშევიკებმა დემოკრატია უარყვეს —მოდი და რეაქციას გვერდში ამოუდგეთო—ასეთი ახირებული მსჯელობა სოციალისტისათვის პირდაპირ სამარცხვინოა!

* * *

გაზეთი „ბრძოლა“ ჩვენ ასეთ მარგალიტებს გვიძღვნის: „ლ. შენგელაიას პროვოკატორის როლი აურჩევია და ბუხარინის დაფეთებული ქორები ხალასს, ჭეშმარიტებად გაუსაღებია. ისიც კაი ხანია მსუქან ბაგაზეა დაბმული, იშვიათათ აღებს პირს სალაპარაკოთ, ცოხნაშია გამბულიო“ და სხვა („ბრძოლა“ № 19-20).

ნ. ჟორდანიას და ნ.რამიშვილის უკვე გამოქვეყნებული წერილები საკმაოდ მოწმობს, თუ რამდენი თვალთმაქცობა დათლილითობაა ზევით მოყვანილ სიტყვებში.

პროვოკატორები, რომლებსაც სურთ 1924 წლის აგვისტოს საშინელებანი გაიმართონ, ჩვენ პროვოკატორებს და მოყიდულებს გვეძახიან. ჭეშმარიტად: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო!

ჩემო დათიკო. (გაზ. „ბრძოლის“ რედაქტორი დავით შარაშიძე) ბოლშევიკები იმდენს, რომ ძლეოდენ შენ, რომ სწერ, ამდენ ხანს შენც აქ იქნებოდი. სხვას რომ თავი დავანებოთ, თბილისის რესტორანებში ერთი კარგი ქეიფი რად ღირს! ვიცი, რაკი რესტორანი ვახსენე, შენი ჟურნალის უახლოეს ნომერში შენ, ალბად, დასწერ: ეს ლოთი—ფოთი შენგელაია თავისას კიდევ არ იშლისო, მაგრამ, მერწმუნე, ეს შენი ბრალდება ისევე „მართალი“ იქნება, როგორც პირველი, ვინაიდან მე ღვინოს სრულებით არ ვსვამ და არც წიწაკა და ლომი მიყვარს! ხომ ხედავთ, რამდენი საბუთი მოგეცით იმის დასამტკიცებლად, რომ მე საქართველო არ მიყვარს და მის დამოუკიდებლობას არ ვიცავ! მართლაც და განა შეიძლება საქართველო უყვარდეს ისეთ კაცს, რომელიც ღვინოს არ სვამს, წიწაკას არ ხმარობს და მენშევიკებს აგინებს?!

შე კაი კაცო! შენ თავი „სამოთხეში“ ამოყავი, ჩვენ აქ „ჯოჯოხეთში“ ჩაგვტოვე, კიდევ იქიდან გვიბღვერ და გვეუბნები: ეს რა კარგათ ცხოვრობთო. ეს არის შენი ერთობა და დემოკრატიზმი?!

„ბრძოლას“ ბანს აძლევს „დამოუკიდებელი საქართველო“ (№ 17), სადაც ქადაგად დავარდნილი ყოფილი ჩემი ამხანაგი და მეგობარი ილია ნუცუბიძე ჩვენ ასე გვახასიათებს: „ახალი გზის“ თანამშრომლების სახელები თვით ლაპარაკობენ თუ რა ნაკლები ხარისხის გამოცემასთან გვაქვს საქმე. აი ეს „თაიგულიც“: ივანე გომართელი, ლეო შენგელაია, კ. სულაქველიძე, დ. თოფურიძე, ნ. ელიავა და სხვ. ესენი ცნობილი არიან ჩვენში როგორც მოვაჭრენი სინდისითო“ და სხვა.

ჩემო ილია! შენ შენიშვნაზე მინდა ორიოდე სიტყვით გიპასუხო. შენ, ალბად, გახსოვს, რომ 1921 წლის მარტ-აპრილში მე და შენ დეკლარაცია, რომ დავსწერეთ, სადაც ვიღვიარეთ საბჭოთა პლატფორმა და ქართველ ერს მოუწოდეთ საბჭოთა ხელისუფლებასთან მხურვალე თანამშრომლობისაკენ. შენ მაშინ მოითხოვდი ყოველდღიური გაზეთი გამოგვეცა (რა თქმა უნდა, ბოლშევიკების ხარჯზე, ჩვენ ამის ფული სად გვქონდა!), არ იყავი წინააღმდეგი რომ საპასუხისმგებლო პოსტებზე ამხანაგები გაგვეგზავნა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ იყო მაშინ „სინდისით ვაჭრობა“.

მართალია, შენ ეს დეკლარაცია 1922 წელს უარყავი მაგრამ იცი ამის შემდეგ რა მოხდა?—**ის, რაც შენ 1922 წლის მარტში უარყავი, ქართველი ერის პოლიტიკური და ეროვნული პლატფორმა გახდა!**

ბედის დაცინვა ამაზე მეტი იქნება?!

იმ ჯგუფის ბურჯი, რომელსაც შენ შენად სთვლიდი, ამხ. ვ. ლორთქიფანიძე, ცხოვრებამ ისევ ჩემთან მოიყვანა. ესეც ახალი სიურპრიზია შენთვის. შენ იცნობდი ამხანაგ კ. ჯავრიშვილს, ის თავიდან წინააღმდეგი იყო საბჭოთა პლატფორმის მიღების. მე და შენ მას ვებრძოდით ამ ნიადაგზე. ახლა? შენ წაიკითხავდი ამხანაგ კ. ჯავრიშვილის წერილებს. მეტსაც გეტყვი. ამხ. ჯავრიშვილმა უკვე განცხადება შეიტანა კომპარტიაში შესვლის შესახებ ხომ ხედავ როგორ „ბრუნავს“ ქვეყანა?!

ახლა „სინდისით ვაჭრობის“ შესახებ. მე და შენ ორივე სანკიულოტი ვიყავით, გროშ-კაპიკი ჩვენ არ გვქონდა. შენ პარიზში სცხოვრობ, გაზეთებში სწერ და მუშაობ. ევროპაში შენ ბიძაშვილები არა გყავს და კიდევაც რომ გყავდეს, ბიძაშვილების იმედით შორს ვერ წახვალ. აქედან შენ გროშ-კაპიკს არავინ გიგზავნის. ახლა გულზე ხელი დაიდევი და სთქვი: **შენ ვის ხარჯზე სცხოვრობ და** მუშაობ ევროპაში? **მე გულ ახდილად გეუბნები: შენ აგენტი ხარ იმათი, ვისგანაც ფულს ღებულობ.**

შენ, ალბად, წაიკითხავდი ამხ. ალფეს ხელაძის წერილს. ამიტომ, როცა „სინდისით ვაჭრობაზე“ ლაპარაკობ, გირჩევ—**ცოტა ფრთხილად იყავი!**

ყველაზე რიგიანი საშუალება მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად არის ასეთი: უნდა აიღო დებულება და დაარღვიო იგი ფაქტებითა და ლოღიკური მოსაზრებით. მკითხველი მაშინ თვითონ დაინახავს, ვინ არის მართალი და მტყუანი, მაგრამ ემიგრაციის „თავისუფალი“ („თავისუფალი“ სინდისისაგან, რა თქმა უნდა)! პრესა ასე როდი იქცევა! იმის ნაცვლად, რომ დაარღვიოს ჩვენი დებულებანი და მოსაზრებანი, ის მოკლედ სწერს: თქვენ მსუქან ბა

გაზე ხართ დაბმული, ე. ი. ბოლშევიკებმა მოგიყიდეთ, ყელამდე ოქროში ჩაგსვესო. ამ უმგვანო დემაგოგიას ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით, ვინაიდან იგი ყოველგვარი კრიტიკის დაბლა დგას, მაგრამ ნათქვამია: მტყუანს კარამდე მიყევიო. ამიტომ მე მინდა ახლო წარსულიდან ორიოდე ფაქტი მოგიყვანო იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უბადრუკია ის ხალხი, რომელსაც სიყალბისა და ცილისწამების მეტი აღარაფერი დარჩენია.

მთელი 1922 წლის განმავლობაში მე უსაქმოდ ვიყავი. სამსახური მხოლოდ 22 წლიდან დავიწყე. მთელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ შაქარი არ გვინახავს, ვყიდულობდით სახარინს. იმასაც „პოშტუკამ". მჭადს ჩემი ხელით ვზელავდი და ფურნეში გამოსაცხობად თვითონ მიმქონდა ტაფაზე. (თქვენ წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე იქნებოდა ოდიშელი აზნაური ცომით ხელში რუსთაველის პროსპექტზე!).

1922-24 წ.წ. მე ვღებულობდი 36-45 მანეთს თვეში, 1925 წ ვღებულობდი 125 მანეთს, ხოლო 26 წლიდან ვღებულობ 150 მანეთს. აი ის „მსუქანი ბაგა", რომელზედაც ჩვენ დაგვაბეს!

ნათქვამის დამამტკიცებელი საბუთი „უწყებების" სახით ინახება განათლების სახალხო კომისარიატის საფინანსო განყოფილებაში. ასეთია „ბრძოლის" კალმოსნების „სიმართლე"!

ჩვენ აქ დღე და ღამე ვმუშაობთ და ძლივსღა ვირჩენთ თავს, თქვენ კი, ვითარცა ფრინველნი ცისანი არც თესთ და არც მკით, ხოლო ბევრი თქვენგანი თავს არხეინად გრძნობს. მაშ, რით ცხოვრობთ? მართალია საქართველომ ცოტაოდენი მზითევი გაგატანათ (უკეთ გაიტაცეთ!), მაგრამ არც იმდენი, რომ ექვსი წლის განმავლობაში რამდენიმე ასეულ კაცს ეყოს.

მაშ, გვიპასუხე ხუთ დიქშტეინის მაცდურ კითხვაზე „ვინ რით ცხოვრობს" თქვენში? პასუხი აქ მხოლოდ ერთადერთია: **თქვენ ღებულობთ ფულებს ევროპის რეაქციონერებისაგან.**

ახლა გვიბრძანეთ: **სოციალისტმა რომ რეაქციონერებისაგან ფული მიიღოს იმისათვის, რომ სოციალისტს ებრძოლოს, განა ამაზე მეტი ღალატი და დაცემა იქნება?!**

მაშ, ვინ არის მოღალატე? **მოღალატე ის არის ვინც ქვეყნის სათავეში ოთხი წელიწადი იდგა და საქართველოს ერთი მეგობარი მოკავშირეც ვერ შესძინა! მოღალატე ის არის, ვინც დერჟიმორდებს, ქურდ-ბაცაცებსა და მექრთამეთ კი არ სჯიდა, არამედ აწინაურებდა!**

**მოღალატე ის არის, ვისაც ქაღალდზე 60.000 ჯარისკაცი ჰყავდა, ორი სამი წლის განმავლობაში 60 ათასი ჯარის კაცისათვის უამრავ კრედიტებს ღებულობდა, ხოლო ბრძოლის დროს თბილისის დასაცავად შუა ღამეს ზარების ჩამორეკით გიმნაზიელებსა და სტუდენტებს ქუჩებში აგროვებდა!**

**ქვეყნის მტერი ის არის, ვინც ობიექტიურ პირობებს ანგარიშს არ უწევს და ქვეყანას ავანტიურაში ითრევს და ერს ახალ უბედურებას თავს ატეხს.**

მოღალატე ის არის, ვინც 1924 წელს საქართველოში გამოსვლები მოაწყო, თუმცა წინდაწინ იცოდა, რომ აჯანყება დამარცხდებოდა, მოჟლიტა ერის საუკეთესო ძალები და შემდეგ ყვირილი მორთო: შეხედეთ ბოლშევიკები რა საშინელი ხალხია, აჯანყებულთ არ ინდობენო!

**ყოველივე ეს ჩაიდინა ნ. ჟორდანია-რამიშვილის კამარილამ.** ქართველმა ერმა მას უკვე გამოუტანა საშინელი განაჩენი. ეს არის დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის რეზოლიუცია. აი ეს განაჩენიც:

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის შესახებ, დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ.

1. მთავრობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის დაცვისათვის, თუმცა იცოდა, რომ მტერი საქართველოზე თავდასხმას ამზადებდა და თვითონაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ რესპუბლიკის დასაცავად ყველა სათანადო ზომა მიღებული აქვს.

2. მთავრობამ ვერ შექმნა რესპუბლიკის დასაცავად საჭირო სამხედრო ძალა და მრავალ დაუდევრობასა და შეცდომის გამო სრულიად ვერ გამოიყენა თავდაცვისათვის ის ძალები, რომელიც მის განკარგულებაში იყო.

3. ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და თვით შეიქმნა პანიკისა და არევ-დარევის წყაროდ.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ თუმცა ქართველმა ხალხმა ყველაფერი მიიტანა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე, დღევანდელმა მთავრობამ მაინც ვერ შესძლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა და უცხადებს მას უნდობლობას".

**ლეო შენგელაია.**

# ნ. ჟორდანიას სამართლიანი პესიმიზმი

„ბრძოლის" 21 ნომერში ნ. ჟორდანია სწერს: „დემოკრატიის კრიზისი ფაქტია, ის იხატება ორი ფორმით: იდეურად მისი სამტრო მოძრაობის გავრცელებაში და პოლიტიკურად მრავალ დემოკრატიულ წყობილებათა დარღვევაში".

ეს სრული ჭეშმარიტებაა. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ბურჟუაზიული ფორმალური პარლამენტარისტული დემოკრატია განიცდის საშინელ კრიზისს, და ეს კრიზისი აუცილებლად უნდა გათავდეს ამ დემოკრატიის სრული განადგურებით. რატომ? ნუ თუ იმიტომ, რომ ამ დემოკრატიას და მის პარლამენტარიზმს არაფერი ფასი არა აქვთ მშრომელი მასებისთვის? რასაკვირველია, მიზეზი ეს არ არის. უდავოა, რომ პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში დიდი პროგრესიული და რევოლიუციონური მოვლენა იყო საერთოდ კაცობრიობისათვის და კერძოთ მშრომელი მასებისთვის. ეს მაშინ იყო, როცა ფეოდალური წესწყობილება დაეცა. მასთან ერთად დაეცა მონარქიის ბატონობა და დამყარდა ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური მართვა-გამგეობა. და აი, გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ. პირველად წამოაყენა ძმობა-ერთობისა და თავისუფლების ლოზუნგი. ის ამ ლოზუნგებით ებრძოდა ფეოდალიზმს და მონარქიზმს. ამ ლოზუნგებით მიიპყრო მან მშრომელი მასების ყურადღება. სწორედ ამიტომ ამოუდგენ დემოკრატიის ფართო მასები გამარჯვებულ ბურჟუაზიას.

მონტერვიე და ჟან-ჟაკ რუსო პირველები იყვნენ ლიბერალური ბურჟუაზიის წრიდგან, რომლებმაც ფეოდალიზმის და აბსოლიტიური მონარქიის წინააღმდეგ აღმართეს თავისუფლების დროშა. ძმობა, ერთობა, თავისუფლებაო—გაიძახოდენ ისინი...

მაგრამ, ეს იყო სიტყვით. საქმით კი, ლიბერალური ბურჟუაზია მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარი კლასის ინტერესებს იცავდა, და როდესაც პარიზის მშრომელმა მასებმა, პარიზის პროლეტარიატის მეთაურობით, ნამდვილი ძმობა-ერთობა გამოაცხადეს, წითელი დროშა ააფრიალეს და კომუნიზმის განხორციელებას შეუდგენ, ვერსალში გამაგრებულმა ბურჟუაზიამ ეს ვერ მოითმინა და კომუნისტური პარიზი სისხლში ჩაახრჩო.

აი რას სწერს ლენინი ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე:

„ბურჟუაზიული დემოკრატია, რომლის დიდი ღირებულება და მნიშვნელობა პროლეტარიატის აღზრდის საქმეში უდავოა, ყველასთვის ვიწროა, ყალბი და მატყუარაა, ის ყოველთვის რჩება დემოკრატიათ მდიდრებისთვის და სიცრუეთ ღარიბებისთვის".*)

---

*) იხ. ლენინი „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი".

და მართლაც, ბურჟუაზიულ პარლამენტებს, რასაკვირველია, ჰქონდათ ძლიერ დიდი მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის და საერთოდ მშრომელი მასისთვის. აქ მუშათა კლასი სწავლობდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს, ის იწვრთნებოდა პოლიტიკურად. იყენებდა პარლამენტის ტრიბუნას აგიტაციის და პროპაგანდის მიზნით და მით თავის საკუთარ ინტერესებს იცავდა. თუმცა ეს დაცვა პატარა მასშტაბით იყო, მაგრამ იმ პირობებში ესეც დიდ ღირებულებას წარმოადგენდა...

მაგრამ ეს იყო წარსულში. მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური მეურნეობა განვითარდა და მისი უკანასკნელი ფორმა—ფინანსიური კაპიტალი გაბატონებულ სისტემად იქცა, მას შემდეგ, რაც ფინანსიური კაპიტალი იმპერიალიზმის ქვაკუთხედი შეიქნა და იმპერიალიზმი კი ნიშნავს **კაპიტალიზმს** განვითარებულს იმ ფაზისამდის, როდესაც შესაძლებელი ხდება მონოპოლიური ბატონობა ფინანსიური კაპიტალისა; ამავე დროს გარდაუვალ წესად იქცა კაპიტალის ექსპორტი, ანუ გატანა. ამ მომენტიდან იწყება გაყოფა-დანაწილება მსოფლიოისა საერთაშორისო ტრესტებით და ეს დაყოფა, როგორც ზემოთ ვსთქვით, თავდება მთელი დედამიწის განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის დანაწილებით.

საერთაშორისო ომი, რომელმაც გაანადგურა კაცობრიობა მატერიალურად, ფიზიკურად და ზნეობრივად, გამოწვეული იყო ფინანსიური კაპიტალის კარნახით; სწორედ იმ ფაქტით, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებმა მოინდომა მეტი ბაზრის და ნედლეულობის ხელში ჩაგდება. ბრძოლა ბაზრებისათვის! აი მიზანი, რომელსაც ისახავდა მეომარი სახელმწიფოები. მაგრამ დავანებოთ თავი ამ ელემენტარულ დებულებების განმეორებას და მივყვეთ ნ. ჟორდანიას ფეხდაფეხ. ის განაგრძობს: „მოხთა დემოკრატიის იდეური კრიზისი, პირველ ყოვლისა მუშათა დემოკრატიას დაეპატრონა ბოლშევიზმი“.

დიახ, აქაც მართალია ნ. ჟორდანია. მუშათა დემოკრატიას გამოუჩნდა უტყუარი პოლიტიკური მეგობარი და მოსარჩლე—კომუნისტური პარტია. ამ დღიდან დემოკრატიას მიეცა შინაარსი; ის იქცა, რეალურ ძალად. მუშათა დემოკრატია კომუნიზმის ბაზაა—მისი სოციალური საფუძველია. კომუნიზმი და ბოლშევიზმი მუშათა დემოკრატიის მოწინავე რაზმების დროშაა. ნ. ჟორდანიასთვის სამწუხაროდ ეს ასეა.

მაგრამ აქ კითხვა ისმის: რა არის დემოკრატია, რომელი კლასი იცავს მას დღეს? მუშათა დემოკრატიას კომუნისტები დაპატრონებია. ლიბერალურ დემოკრატიას ფაშიზმი ეპატრონებაო გვეუბნება ნ. ჟორდანია.

ეს თუ ასეა, მენშევიზმს რომელი დემოკრატია დარჩა?! აი ამაში გახლავს მენშევიკური პარტიის მარცხი, მისი ტრაღედია, მისი იდეური დამარცხების უტყუარი ნიშანი. და მართლაც თუ, მუშათა დემოკრატიას ბოლშევიკები ფლობენ, რაც სრული ჭეშმარიტებაა,—თუ ბურჟუაზიულ დემოკრატიას ფაშიზმი ეპატრონება, აქ ხომ მოსყიდვასთან, ღალატთან და რენეგატობასთან არა გვაქვს საქმე?

ნ. ჟორდანია განაგრძობს: „ფაშიზმი ისე, როგორც ბოლშევიზმი აღორძინდა დემოკრატიის უძლურებაზე, გამოვიდა მისი იდეური და პოლიტიკური კრიზისიდან“. ესეც სავსებით ჭეშმარიტებაა. დემოკრატია გახლავთ უძლური, უხერხემალო და ქრონიკული კრიზისით დაავადებული. მაგრამ რომელი დემოკრატიაა ასეთი? სწორედ ის დემოკრატია, რომლის მზესაც ფიცულობს თვითონ ნ. ჟორდანია, ბურჟუაზიული დემოკრატია—პარლამენტარული რეჟიმი — პოლიტიკური დემოკრატია. აი სწორეთ ეს ფოკუსი ეს სუროგატი ნამდვილი დემოკრატიისა—თუ ჩვენ დემოკრატიას გავიგებთ ამ სიტყვის ნამდვილი თავის მნიშვნელობით,—ე. ი. ხალხის ბატონობა.—ეს ხალხის ბატონობა იქნება მხოლოდ მაშინ როცა საზოგადოებაში მოისპობა კლასები და ყოველგვარი სოციალური უთანასწორობა.

დღეს თანამედროვე პოლიტიკურ დემოკრატიას აღარავინ იცავს. არ იცავს მას ის კლასიც, რომელმაც ის შექმნა, ე. ი. ბურჟუაზია, და ეს იმიტომ, რომ მას ფორმალურ დემოკრატიას,—აღარ შესწევს ის ძალა და გავლენა. მას არა აქვს ის ავტორიტეტი, რომლის შემწეობით ბურჟუაზიას უშიშრათ შეეძლოს სახელმწიფო ცხოვრების მართვა-გამგეობა. თანამედროვე მმართველი წრეები ფორმალური დემოკრატიის დაწესებით ერთნაირ კომპრომისებზე და დათმობაზე მიდიოდენ საზოგადოების დაბალ ფენებთან და დაჩაგრულ კლასებთან. ისინი პარლამენტის საშუალებით შეძლებას აძლევდენ საზოგადოების ქვედა ფენებს ელაპარაკათ თავიანთ საქმეებზეც, ასე თუ ისე მონაწილეობა მიეღოთ მათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. რეფორმებიც კი ტარდებოდა პოლიტიკური დემოკრატიის საშუალებით.

ვიმეორებთ: მმართველი წრეები ითმენდენ ფორმალურ დემოკრატიას და მის ორგანოს პარლამენტს, და ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება, კაპიტალისტური ეკონომიური სისტემა, ძალაში რჩებოდა; მხოლოდ ქვედა ფენებს სახრავათ ძვლებს და ნასუფრალს უყრიდენ ხოლმე... მაგრამ, მიმდინარე ეპოქაში, როდესაც საერთაშორისო ომი მთელი კაცობრიობას ანადგურებს და ეს განადგურება გამოწვეულია ერთი მუჭა საერთაშორისო მყვლეფელების ბურჟუა-კაპიტალისტების ინტერესთა წინააღმდეგობით, როდესაც საზოგადოების ფართო მასებისთვის და განსაკუთრებით მუშათა კლასისთვის ცხადზე უცხადესი ხდება ის გარემოება, რომ კაპიტალიზმმა ამოსწურა თავისი თავი. ის ერთხელ პროგრესიული, უმაღლესი ტეხნიკის და კულტურის მატარებელი—ახლა იფიტება, რეგრესიულ ძალათ ხდება და ქვეყანას უდიდეს უბედურებას უქზადებს, როცა შეირყა ფართე მასების რწმენა არსებული ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილებისადმი, როცა მთელ რიგ სახელმწიფოებში იფეთქა რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რასაც შედეგად მოჰყვა ძველი პოლიტიკური წყობილების დანგრევა და რუსეთში სოციალ-ეკონომიური გადატრიალება და ახალი ურთიერთობის დამყარება. როდესაც რეფორმისტულ ს.-დემოკრატიას კონკურენტათ მოევლინა კომუნისტური პარტია, რომელიც იშვა საერთაშორისო ომების და რევოლიუციების საშოში. და ამ რიგათ კაპიტალისტურ სამყაროს წითელი აჩრდილი გაუჩნდა საშინელ საფრთხედ,—მაშინ პრაქტიკულ სფეროში დაისვა პრაქტიკული უტილიტარული ბურჟუაზიისთვის საკითხი შემდეგი პოლიტიკური ხაზის ასაღებად და აი სწორედ ბურჟუაზიამ **ლიბერალიზმი** აქ შესცვალა ახალ იდეოლოგიაზე—**ფაშიზმზე**.

რა არის ფაშიზმი? ის ახალი მოძღვრებაა, ახალი იდეოლოგიაა. იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოსხმული ერთ გარკვეულ სისტემაში. აი, რას ამბობს ფაშიზმზე ამ მოძრაობის კარგათ მცოდნე მოქ. ლ. ფაბრი: „საერთაშორისო ფაშიზმი წარმოადგენს გარკვეულ ცდას ყველა ქვეყნის გაბატონებული კლასებისას ორგანიზაციულათ მოაწყონ კონტრ - რევოლიუცია, ანუ რაც იგივეა აქიდანვე დროულათ მოსპოს ყოველივე შესაძლებლობა სოციალისტური რევოლიუციის მოხდენისა. ამავე დროს ყველა რანგის და ქვეყნის კაპიტალისტებმა იციან, რომ, ამავე ამოცანას, ე. ი. ბურჟუაზიული წყობილების მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლისაგან დაცვას კისრულობს ბრუჟუაზიის სახელმწიო აპარატი ყველა თავისი იძულებითი ორგანოებით ჯარით, პოლიციით, ჟანდარმერიით და სხვა.

საერთაშორისო ფაშიზმის მამათმთავარნი არ სცნობდნენ დამაკმაყოფილებლად ზემო აღნიშნულ ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატს. ფაშიზმის იდეოლოგები გაიძახიან, რომ ეს აპარატი — ჯარი, პოლიცია, ჟანდარმერია, — ვერ არის მტკიცე, ენერგიული და შორს გამჭვრეტი რევოლიუციასთან ბრძოლაში. ამ მდგომარეობაში ისინი, ფაშისტები, დაარწმუნეს იმ რევოლიუციებმა, რომელიც საერთაშორისო ომის შემდეგ მოხდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მიწა-წყალზე.

ამიტომაც ფაშიზმის დანიშნულება სწორეთ იმაში

გამოიხატება, რომ ებრძოლოს ყოველნაირი საშუალებით პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლებს და ძირშივე ჩაკლას იგი.

სწორედ ამ ფაშიზმმა საბოლოოდ დაასამარა ყოველნაირი იდეა კანონიერებისა და ამავე დროს ყველასათვის ნათელყო სახელმწიფოს კლასიური ბუნება.

მან ნიღაბი ახადა იმ ფეტიშს, რომელსაც სახელმწიფო ქვია, ფაშისტურად დარაზმულმა ბურჟუაზიამ სულ ერთიანად გააბითურა მისი სამართლიანობა და ამიერიდან ყველასათვის და ყველაზე უფრო პროლეტარიატისთვის აშკარაა, რომ ყოველგვარი ცდა პროლეტარიატისა სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად, სასტიკ წინაალმდეგობას შეხვდება ფაშისტურად დარაზმული ბურჟუაზიული კლასებისაგან.

ფაშიზმის წარმოშობას და განვითარებას ამხ. სინდომირსკი უკავშირებს განვლილ საერთაშორისო ომს. „იტალიელი ფაშიზმი, მისი სიტყვით, არის პროდუქტი საერთაშორისო ომისა. ჩვენ კი ამ დებულებას მიუმატებთ: ბურჟუაზიის ფაშისტურად დარაზმვა არის შედეგი იმ კომუნისტური მოძრაობისა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ასეთის ძლიერებით ვითარდება — ევროპის და აზიის ყველა ქვეყნებში.

მაგრამ დავანებოთ თავი ფაშიზმს და დავუბრუნდეთ ჩვენს პირდაპირ საგანს. რა კი დემოკრატია დაირღვა და ყველა კლასმა თავის დემოკრატია გამოაცხადა, რაკი მუშათა კლასი ბოლშევიკებს გაყვა—ამას მიუმატეთ წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია, რომელზედაც ნ. ჟორდანია ლაპარაკობს: „მუშათა დემოკრატიის ეს იდეური რყევა, გადაედო წვრილ ბურჟუაზიასა და ინტელიგენციაზეო“, აქედან ცხადია, რომ დამდგარა ისეთი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ხდება გადაფასება ძველი ღირებულების. ბურჟუაზიული დემოკრატია უკვე ბარდება ისტორიას. მის ნაცვლად იჭედება პროლეტარული დემოკრატია, გლეხკაცობა და მშრომელი ინტელიგენცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მეორეს მხრივ ლიბერალიზმსა და ფოკუსნიკურ პარლამენტარიზმს ბურჟუაზია თავს ანებებს და გადადის კლასიურ დიქტატურის პრინციპზე. ამიერიდან, სახელმწიფო კარგავს თავის ზევითა კლასიურ ბუნებას, რასაც ამ ორგანოს აწერდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართალი, და ამრიგათ ერთმანეს უპირდაპირდება ორი დიქტატურა: პროლეტარული და ბურჟუაზიული. საერთაშორისო მუშათა კლასი დარაზმული კომუნისტურ პარტიაში ირაზმება დიქტატურისთვის. საერთაშორისო ბურჟუაზია დარაზმული ფაშიზმში — მიილტვის მუშათა დიქტატურის მოსპობისა და თავის კლასის გაბატონებისაკენ.

აი, იმ გრანდიოზულ ძალთა მობილიზაცია, რომელიც ხდება დღეს ჩვენს თვალწინ, ამ ძალების წარმოშობა განვითარებას, მის ლოღიკურ მსვლელობას ვერ ამჩნევს საქართველოს მენშევიზმის ბელადი ნ. ჟორდანია და მისი მიმდევრები და ამიტომაც ეს ხალხი, დაშორებული სინამდვილეს, დასტირიან ისტორიის მიერ განწირულ საქართველოს დემოკრატიას. სწორედ, რომ ცუდ მდგომარეობაში ვარდება ნ. ჟორდანია.

მუშათა კლასი და გლეხკაცობა ბოლშევიკურ დემოკრატიას ლებულობს, ბურჟუაზიული კლასები ფაშისტურ დემოკრატიას, ნ. ჟორდანიას დემოკრატია კი რჩება ჰაერში გამოკიდებული.

ალ. ხელაძე.

# ბურჟუაზიული სასამართლოები

ბურჟუაზია სიტყვით მუდამ კანონიერებასა და სამართლიანობაზე გაიძახის. მისი აზრით პარლამენტარული წყობილება არის ერთად-ერთი საფუძველი, სადაც ყველას თავისუფლად შეუძლია გამოსთქვას თავისი აზრი და შეხედულება, როგორც სიტყვით, ისე პრესით.

მსოფლიო ომის შემდეგ ამ სიყალბის მტკიცებას მაგრად ჩასჭიდეს ხელი აგრეთვე მთელი ქვეყნის რეფორმისტებმაც მენშევიზმის სახით.

დღეს პარლამენტარული წყობილების უდიდეს დამცველად მსოფლიო მენშევიზმის მესვეურები გამოდიან.

მუშათა მოძრაობის განვითარებამ და კომუნისტური პარტიების ზრდამ ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზიის წინ დააყენა მათი ბატონობის ალსასრულის მოახლოების საფრთხე, რასაც კაპიტალისტებმა დაუპირდაპირეს ფაშიზმი. აქ ბურჟუაზიამ უკვე ჩამოიხსნა ნიღაბი და მუშათა კლასის წინაშე წარსდგა როგორც მისი აშკარა მოწინააღმდეგე.

ფაშიზმის ბატონობა მთელ რიგ ქვეყნებში იწვევს მუშათა მასების დარბევა-აწიოკებას, მაგრამ მას ერთი ნაყოფიც მოაქვს: მუშები საბოლოოდ ერკვევიან რეფორმისტების მიერ შექმნილ ბურუსიდან და ირაზმებიან გადამწყვეტი ბრძოლისათვის კაპიტალიზმის დასამხობად.

მაგრამ ჩვენ ამჟამად უფრო გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ყალბია ბურჟუაზიის მტკიცება პარლამენტარულ ქვეყნებში არსებულ სასამართლოების ზეკლასიურობისა და საბჭოთა ხელისუფლების „ბარბაროსული“ მოქმედების შესახებ.

მკითხველმა უკვე იცის, რომ საბჭოთა მთავრობამ უმაღლესი სასჯელი მიუსაჯა 20 კონტრ-რევოლიუციონერს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე ეწეოდენ ჯაშუშობას, ახდენდენ ტერორისტულ აქტებს, აწყობდენ აფეთქებებს და სხვა...

ამ ჯაშუშების მოქმედებამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია სწორედ იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის წინაშე აშკარად წამოიჭრა ახალი ომის საფრთხე.

რათქმა უნდა, ყველა მთავრობა მოიქცეოდა ისე, როგორც მოიქცა საბჭოთა ხელისუფლება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ აქტმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია საზღვარგარეთის ბურჟუაზიულ პრესაში. მას გამოეხმაურა აგრეთვე ზოგიერთი მთავრობებიც. მაგალითად ფინლიანდიის მთავრობამ საგანგებო ნოტაც კი გამოუგზავნა საბჭოთა მთავრობას, რომელშიაც ესარჩლებოდა ჯაშუშ ელვენგრენის დახვრეტას. ამის საპასუხოთ უმაღლეს პოლიტიკურ სამმართველომ გამოაქვეყნა ჯაშუშ ელვენგრენის ჩვენება, საიდანაც აშკარად სჩანს, რომ ასეთ დამნაშავეს, როგორიც ელვენგრენი იყო, ფინლიანდიის მთავრობა 24 საათსაც არ აცოცხლებდა.

ბურჟუაზიული პრესის ბრაზმორეულ სისინს არც რეფორმისტები ჩამორჩენ. ინგლისის მუშათა პარტიის და ტრედუნიონების საბჭომ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია. კიდევ მეტი: მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერებმა, როგორიცაა ცნობილი ლენსბერი, ბექსტონი და ბროკკეი, გამოუგზავნეს საბჭოთა მთავრობას შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„შესწყვიტეთ სიკვდილით დასჯა გაუსამართლებლად. ის ცუდ გავლენას ახდენს ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრზე, განსაკუთრებით მეგობრულად განწყობილ მუშათა აზრზე. ჩვენ ვებრძვით ბრიტანეთის ანტირუსულ პოლიტიკას, მაგრამ სიკვდილით დასჯამ ფრიად შეაფერხა ჩვენი მოღვაწეობა“.

რომ რეპრესიული ზომების მიღება საბჭოთა ხელისუფლების მიზანს არ შეადგენს, ეს აშკარაა, მაგრამ მუშათა კლასის მტრები როდესაც აშკარა თავდასხმებს და აფეთქებებს აწყობენ და სურთ ჩვენი თავისუფლების დასამარება, ასეთ დროს განა დასაშვებია გულზე ხელდაკრეფილი დგომა და ცდა, თუ როდის მიაბჯინებენ დანას ყელში ეს ყაჩაღები მუშათა კლასს?

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერებმა უნდა იცოდენ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრ[illegible] არავის მისცემს ამის ნებას.

ლენსბერი თუ მართლა მოწადინებულია რეპრესიების შეწყვეტაზე, მან პირველ ყოვლისა ასეთი დეპეშით უნდა მიმართოს თავის მთავრობას, რომელიც მეთაურობს და დიდძალ ფულებს ხარჯავს ამ ჯაშუშთა ორგანიზაციებზე.

როდესაც რევოლიუციის მონაპოვარს საფრთხე მოელის, ორჭოფობა და იმისი შიში, თუ ვინ რას იტყვის, მოღალატეობაა მუშათა კლასის, წინაშე, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ვერ ჩაიდენს.

ხოლო ყველაზე უფრო დამახასიათებელია ლენსბერის დეპეშიდან სიტყვა **გაუსამართლებლად.** ამაში ის გულისხმობს, რომ ის ოცი ჯაშუში დახვრეტილ იქნა ყოველგვარ გამოძიების გარეშე; ამის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისაგან უკვე მიიღო შესაფერი განმარტება, რომ პოლიტიკურ სამმართველოს, კონსტიტუციის ძალით განსაკუთრებულ შემთხვევებში ენიჭება სასამართლოს უფლებები, სწორედ ისე როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში აწესებენ საგანგებო სასამართლოებსო.

ალბად, ბატონ ლენსბერის პაციფისტური სინიდისი ყალბი დოკუმენტების მკეთებელ დრუჟელოვსკის გასამართლებითაც აღშფოთდება.

მერე ვინ იყო დრუჟელოვსკი?

იგი დიდი ხნის განმავლობაში თხზავდა ყალბ დოკუმენტებს, რომელსაც კარგ ფასებში ყიდდა კაპიტალისტურ მთავრობებზე. რამოდენიმე ასეთი „დოკუმენტი“ მას მიუყიდია ბულგარეთის მუშათა კლასის ჯალათ ცანკოვის მთავრობისათვის.

ვის არ ახსოვს სოფიის ტაძრის აფეთქება, რამაც რამოდენიმე ათეული „წარჩინებული“ პირიც იმსხვერპლა. ჯალათი ცანკოვი იმდენად გაბოროტებული იყო კომუნისტებზე შურის ძიებით, რომ თავისიანებიც არ დაინდო და აფეთქება თვითონვე მოაწყო, რომ შემდეგ მუშათა კლასზე ჯავრი ეყარა.

ის ასეც მოიქცა. ასობით აიყვანა საღრჩობელაზე საუკეთესო რევოლიუციონერები იმ საბაბით, რომ აფეთქება კომუნისტების ხელით იყო მოწყობილიო.

რამდენადაც ვიცით ამით მაშინ ინგლისელი პაციფისტები დიდათ არ შეშფოთებულან.

და ამის შემდეგ სურთ დაგვაჯერონ, რომ საბჭოთა კავშირში მოწინააღმდეგეებს სჯიან გაუსამართლებლად, ხოლო ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებული სასამართლოები მოქმედებენ სამართლიანობის ფარგლებში და ზეკლასიურ სახეს ატარებენ?

ვნახოთ თუ რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს.

ამ მოკლე ხანში ბურჟუაზიულმა სასამართლომ განიხილა ორი საქმე. ორივე მკვლელებს ეხებოდა.

ერთი მათგანი ამხ. ვოიკოვის მკვლელ—კავერდას საქმე იყო, ხოლო მეორე გრიგოლ ვეშაპელის მკვლელის, მერაბიშვილის.

პოლონეთის საგანგებო სასამართლომ ამხ. ვოიკოვის მკვლელს გამოუტანა განაჩენი 15 წლით ციხეში ჯდომის შესახებ, მაგრამ იქვე აღძრა შუამდგომლობა პრეზიდენტის წინაშე სასჯელის შემსუბუქებაზე.

ეს კიდევ არაფერი, ციხე რომელშიაც ზის ბრალდებული, პოლონეთის მთავრობამ გადააქცია თეთრგვარდიელების სადემონსტრაციო ადგილათ. ბრალდებულთან ყოველდღე მიდიან სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული თეთრგვარდიელთა ლიდერები, უგზავნიან დიდძალ საჩუქრებს, ფულებს და ცნობილი მწერალი არციბაშევის ქვრივმა განიზრახა კავერდას ციხეში უმაღლესი სასწავლებელი დაასრულებიოს. ამ მიზნით მან კავერდას გადასცა დიდძალი ფულები და სახელმძღვანელო წიგნები.

ერთი სიტყვით, ამხ. ვოიკოვის მკვლელში თეთრგვარდიელთა ხროვამ დაინახა ნაციონალური გმირი და მას დაფნის გვირგვინით ამკობს. ეს არც გასაკვირია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ყველა ამას ხელს უწყობს პოლონეთის მთავრობა და არავითარ ზომებს არ ღებულობს თეთრგვარდიელთა მოქმედების ასალაგმავად, მიუხედავად მრავალი დაპირებებისა.

ამის შემდეგ მოულოდნელი არც ის იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს კავერდა აღარ აღმოჩნდეს პოლონეთის ციხეში და ის მისმა მეგობრებმა იქიდან გააპარონ.

პარიზში შემდგარმა სასამართლომ ვეშაპელის მვლელი მერაბიშვილი სავსებით გაამართლა.

რატომ მოკლა მერაბიშვილმა ვეშაპელი? იმიტომ, რომ ის დადგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და მოუწოდებდა ემიგრაციას დაბრუნებოდა თავის სამშობლოს და ემუშავა მისი კეთილდღეობისათვის.

ვეშაპელს ვერავინ დასწამებდა კომუნისტობას. პირიქით, ის უკიდურესი ნაციონალისტი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო ადრე აუღო ალღო ცხოვრების სინამდვილეს და დაადგა რეალურ პოლიტიკის გზას.

მისი მკვლელი მერაბიშვილი კი, რომელსაც დღეს პარიზის ვექილები სამშობლოსათვის თავდადებულს უწოდებენ, არის ბანდიტი, რომელმაც საქართველოდან გაპარვისას რედაქციის ფულები მიითვისა.

ამის შემდეგ კიდევ გაბედავენ თქმას, რომ საბჭოთა კავშირში გაუსამართლებლად სჯიან მოწინააღმდეგეს, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი კანონიერად ხდებაო?

კომუნისტური პარტია იმ თავიდანვე ამტკიცებდა, რომ სასამართლო კლასიურ ინტერესებს ემსახურებაო.

ეს ანბანური ჭეშმარიტება კიდევ უფრო ნათლად დაამტკიცა ამ ორმა პროცესმა. ეს გარემოება უსათუოდ ხელს შეუწყობს მუშათა მასების გამოფხიზლების საქმეს და საბოლოოდ დაარწმუნებს მათ კაპიტალიზმის მესვეურების და მათი ამყოლების თვალთმაქცობაში.

ბურჟუაზია ჰოტენტოტური მორალით ხელმძღვანელობს; ის ურცხვად გვეუბნება: მე თუ ცოლი წავართვი—კარგია, შენ თუ წამართმევ—ცუდიაო. ამ მორალით ხელმძღვანელობს ბურჟუაზია. ამ მორალს იზიარებს მსოფლიო რეფორმიზმიც...

დეე ილაყბონ რამდენიც სურთ. ჩვენ მათ ფეხის ხმას ვერ ავყვებით და ისევ მტკიცედ განვაგრძობთ როგორც სოციალისტურ აღმშენებლობას, ისე ქვეყნის თავდაცვისათვის სამზადისს.

**ს. ელიაძე.**

# ზ ა კ ვ რ ი თ

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ, ევროპაში გაქცევის შემდეგ სულ ერთიანად დაკარგა ნიადაგი ხალხის უფრო შეგნებულ ნაწილში.

დიდი რუსეთისაგან ბელადების მიერ **ხელოვნურად მოწყვეტილი** მუშები და გლეხები, რომელთაც სამი წლის განმვლობაში უქადაგებდენ „წითელი იმპერიალიზმი“-ს **საშინელებაზე**, დარწმუნებული იყვენ, რომ მათ 1921 წ. თებერვალში კარზე მოადგათ „რევოლიუციის მესაფლავენი“, რომლებმაც ვერ მოინელეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „სამოთხის“ არსებობა, და რომ კომუნიზმის სახით საქართველოში შევიდა იგივე იმპერიალიზმი. რუსეთის თვითმპყრობელობა და სხვა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე ნათელი გახდა, რომ „წითელი იმპერიალიზმი“ სრულიადაც არ ფიქრობდა მუშებისა და გლეხების შევიწროებას, და თავის დასაყრდენ ბაზათ სწორეთ ამ ელემენტებს სთვლიდა.

უკუგდებული იქნა მენშევიკურ მთავრობისათვის ჩვეულებრივი მერყეობა. ერთის დაკვრით გადაეცა გლეხებს მიწა, მხოლოდ ქალაქის მუშებს სარდაფების ნაცვლად ადამიანთათვის საცხოვრებლად მიჩნეული ბინები და სხვ.

ხელისუფლების ყველასათვის თვალსაჩინო უნარიანობამ, რომელიც მან გამოიჩინა აღმშენებლობის ყვე-

ლა დარგში,—სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრების უმრავლესობაში შექმნა განწყობილება ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ. მაგრამ გახიზნულმა მთავრობამ არ დააყოვნა თავისი **საწამლავით** და საქართველოში დაარსებული იქნა პარტიათა არალეგალური კომიტეტი.

ეს, ალბათ საჭირო იყო ევროპის იმპერიალისტების ინტერესებისათვის.

აი, აქედან ღებულობს ორგანიზაციულ ხასიათს ხელისუფლებისადმი მიმართული ფარული წინააღმდეგობანი.

1922 წ. თებერვალში მოწაფეთა დემონსტრაციები და სხვა ასეთი „გამოსვლები“ მშვიდობიანი ხასიათის იყო. მაგრამ ეს არ ისმოდა ევროპაში. საჭირო შეიქნა დიდი ახმაურება, და აურ-ზაური... და ეს ხმაც გაისმა:

— **ეს ხმა გახლდათ ყოფილი ბელადების მიერ ევროპიდან მოწყობილი აგვისტოს სისხლიანი დღეები.**

ექსმინისტრებისაგან „ხაზეინები“ მოითხოვდენ „საქმეს“, მოითხოვდენ სისხლს იმ ხალხისას, რომლებმაც ეს ვაჟბატონები ერთ დროს განუსაზღვრელის ნდობით აღჭურვა.

და მათაც გაიმეტეს ეს ხალხი.

გაიმეტეს იმ „დიდი“ მიზნით, რომ ევროპის იმპერიალისტებს უფრო მეტი საბუთები ჰქონოდათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაიმეტეს იმიტომ, რომ ბურჟუაზიული მთავრობებისათვის ეგრძნობინებინათ, რომ აქ, საქართველოში, მათ ჰყავთ მიმდევრები.

გაიმეტეს იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების უმაგალითო უნარიანობამ, უდიდესმა აღმშენებლობამ, თავისკენ მიიზიდა ყოფილ ბელადების მიმდევართა მუშური ნაწილი, და სწორედ ყოველვე ამის გამო, საქართველოს ხალხს, მისი სურვილის წინააღმდეგ თავს დაატეხეს პროვოკაციითა და ტყუილებით აღსავსე 1924 წლის აგვისტო, იმ ღრმა რწმენით, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაღრმავდებოდა ის უბსკრული, რომელიც ამოთხრილი იქნა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრიდან, იმავე ბელადების უკუღმართობით.

მოხდა უბედურება, დაიღვარა ცრემლები, გაღებული იქნა მსხვერპლი, მაგრამ ყოველივე ამან ხელი შეუწყო,—ხელისუფლების წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ელემენტებს სინამდვილისათვის თვალი გაესწორებია.

შედეგი?

ქართველმა ხალხმა დაგმო აგვისტოს საშინელების სულისჩამდგმელნი.

გაბრიყვებულნი, ბრმა იარაღათ მიჩნეული ხალხი, მივიდა ხელისუფლებასთან, მხოლოდ მისი მოწინავე ელემენტები—მენშევიკი მუშები შევიდენ კომპარტიაში—დაუბრუნდენ მებრძოლ პროლეტარიატის ოჯახს.

**ორ** ნახევარმა წელმა განვლო ამ უბედურების შემდეგ; ორ ნახევარი წელია, რაც საქართველოს ხალხმა ჯვარი დაასვა, **საქართველოში მინისტრის ხავარძელის ევროპაში მაძიებელ „რაინდების“ ხსენებას.**

მოსახლეობა, მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინამძღოლობით ეწევა უმაგალითო აღმშენებლობას.

**დღეს?**

დღეს, როცა ჩემბერლენ-ბრიან-მუსოლინები, გამსჭვალულნი „მშვიდობიანობის“ სიყვარულით სისხლში ჩახრჩობას უქადის ჩინეთის რევოლიუციას, როცა ევროპის და განსაკუთრებით ინგლისის კონსერვატორიული მთავრობები იარაზმებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლებისათვის, როცა რუსეთის თეთრი ემგრაცია, კავერდას დაქირავებული ხელით გულს უგმირავს საბჭოთა ელჩს, როცა ევროპის მთავრობებისაგან მოსყიდული ჯაშუშები დაძვრებიან საბჭოთა ქვეყანაში, ტერორისტული აქტებისა და ფაბრიკა-ქარხნების აფეთქების საწარმოებლად, როცა მთელი ქვეყანა სდგას მსოფლიო ომების დაწყების წინაშე—საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა მხრივ მიმართავენ თავიანთ „მოღვაწეობას“ ქართველი ემიგრანტები?

— იმათ ხომ არ შეუძლიათ „ასეთ ხელსაყრელ მომენტში“ უმოძრაოთ დარჩენ?

არც დარჩენილან:

საქართველოს მენშევიკურ „ცეკას“ ეცნობება, რომ „დღის წესრიგში დასმულია საკითხი ბოლშევიზმის დამხობის და საბჭოთა კავშირის დანაწილების შესახებ“-ო. სხვა მრავალ „სარწმუნო ცნობათა“ გარდა ი. ქარცივაძეს მოაქვს პრაქტიკული პროგრამები და „წინასწარ მუშაობის წარმოების გეგმები, რომლიდანაც აშკარა ხდება, რომ საქართველოს ხალხს კვლავ უმზადებენ პროვოკაციას, უწყობენ ღალატს.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რას უდრის ჩვენს ქვეყანაში აგვისტოს განმეორება, მაგრამ გადაჭრით ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ძალები—მუშები და გლეხები, რომელთა ბრმა იარაღათ გამოყენებას ფიქრობს საზღვარ-გარეთელი ბიურო—**ამ პროვოკაციაზე არ წამოეგებიან.**

ჩვენ ვიცით, თუ რას უდრის ევროპის სახელმწიფოებისაგან „ბოძებული“ დამოუკიდებლობა.

ჩვენ ისიც ვიცით, თუ როგორ უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ჟორდანია - რამიშვილის „კოლეგები“ — აბრამოვიჩი - ჩერნოვ - კერენსკები.

საქართველოს „ცეკასადმი“ წარმოგზავნილი სადირექტივო უსტარი ჯერ-ჯერობით კიდევ შეფასების პროცესშია და უსასტიკესი გულის წყრომა გამოიწვია მთელი საქართველოს მოწინავე ფენებში...

ჩვენ არ შეუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია აღორძინების გზაზე დამდგარმა საბჭოთა საქართველომ, ამ 7 წლის განმავლობაში, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ გაცილებით უფრო მეტი მიღწევები იქნებოდა, რომ საქართველოს მშრომელთ თავიდან ჩამოსცილოდენ არამკითხე აპეკუნები.

საქართველოს მუშები და გლეხები მწუხარებით აუწყებენ ექსმინისტრებს, რომ ისინი სრულიადაც არ ფიქრობენ ჟორდანია - რამიშვილის მინისტრობაზე და რომ ისინი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად შეებრძოლებიან არა მარტო იმპერიალისტების **გამოლაშქრებას**, არამედ საზღვარ-გარეთელ ბიუროსაგან ჩვენი ქვეყნისათვის მოძღვნილ პროვოკაციასაც, **და** რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის მუშებისა და და გლეხების წინააღმდეგ.

გვაქმარეთ საწამლავი, გვაქმარეთ ტანჯვა. მოგვასვენეთ. გვაცალეთ მუშაობა.

**ტ. ტულუში.**

# ყოფილ მენშევიკ და უპარტიო ქალთა კრება

6 ივლისს, როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო ქალთა კრება. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლ. კუპრაშვილი, რომელმაც ორი საათი ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობზე და საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრაციის მოქმედების დ გეგმების შესახებ. მომხსენებელმა ცხადად დაანახვა კრებას, რომ ქართული ემიგრაციის ლიდერების ცდა იქითკენ არის მიმართული, რომ კომუნისტურ პარტიას ხელი შეუშალოს მშვიდობიან აღმშენებლობის საქმეში. მომხსენებალმა აღნიშნა საქართველოს მუშათა კლასის გამარჯვება პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტზე, რაც ნაყოფია რუსეთის მუშათა კლასის **დახ**მარებისაო და კრებას მოუწოდა ფხიზელ დარაჯად დაუდგეს თავის საბჭოთა სამშობლოს და არავის ნება არ მისცეს განმეორდეს ჩვენში იმის მსგავსი, რაც იყო 1924

წლის აგვისტოს დღეებშიო. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„ჩვენ, როზა ლიუქსემბურგის თამბაქოს ქარხნის მუშები, სასტიკად ვგმობთ იმპერიალისტურ მთავრობების შავ ზრახვებს, მიმართულს სოციალიზმის ბელად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ საზღვარგარეთ გახიზნულ ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობის“ ცდებს საქართველოში აჯანყების მოსაწყობად. ჩვენ მთელი ჩვენი ენერგიით ზიზღს უცხადებთ მათ და არ დაუშვებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ჩაბმულნი იქნენ სისხლიან ავანტიურაში. და თუ იმპერიალისტების ხროვა გაბედავს თავზე დაეცეს საბჭოთა რესპუბლიკებს, ჩვენ მათ შევებრძოლებით მთელის ჩვენის ძალ-ღონით.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს მის მთავრობას—საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ყოფილ მენშევიკ და უპარტიო ქალთა შორის მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ო. ბაქრაძემ, რომელმაც კრებას გააცნო ყოფილ მენშევიკ ქალთა სექციის დაარსების მიზანი. დღევანდელ ისტორიულ მომენტში,—სთქვა მომხსენებელმა,—როდესაც მსოფლიოში ხდება დიდმნიშვნელოვანი ამბები, საქართველოს მშრომელი ქალები უნდა ჩადგენ მუშა-მამაკაცებთან ერთად და მტკიცედ დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარი. ისინი თავის ძმებთან ერთად, შვილებთან და ქმრებთან ერთად გვერდში უნდა ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც აწარმოებს უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიურ მუშაობას ქვეყნის ასაღორძინებლად.

კრებამ ყოფილ მენშევიკ ქალთა სექციასთან დასაახლოებლად აირჩია რწმუნებულებად შემდეგი ამხანაგები: წამალაშვილი სონა, ლეკვეიშვილი ოლია და კუპრაიშვილი გაიანე.

**დამსწრე.**

# ბრძოლა მათ!..

ვინ იტყვის, რომ მე ანტოგონიზმს ვსთეს ნაციათა,
ვინ იტყვის, რომ მე მაშფოთებდეს ბრიტის ბრიტობა,
მაგრამ „ბრეტის ბრეტს“ კი არ ვსთვლი არც მარცვალ შვრიათა!
რა ვქნა? ბუნებით არ მჩვევია მიამიტობა!..
და როცა ბრიტებს, ევროპის ამ „მაღალ“ ნაციას,
ვხედავ შანხაის თუ ნანკინის ნაძრას გმირებათ,
მთელ მათ „კულტურას“ აქ ვუწოდებ პროვოკაციას
და ვყვირი: “შორს! შორს!“.. მთელი ქვეყნის გასაკვირვებლათ...
მე ყველა ხალხთა არ გახლავართ მალმერთებელი,
ყოველს „ტვირთს“ ზურგში ვერ მოვიგდებ, როგორც მეტრუკი:
არც სხვა ერის წილ მრწამს თოფი და სამართებელი,
არც ქართველობას მსურს ვუკმიო ზოგებრ გუნდრუკი!..
მე ვარჩევ კაცში კაცურ კაცებს, შრომის ქურუმებს,
მე ვარჩევ ხალხში ოფლის ფენებს და მზის ხეივნებს,
ხშირად საკუთარ წმინდა სისხლშიც ამოწურულებს,
იმათ მძიმე ხვედრს აქ გულიც რომ გრძნობით შეივნებს!.
მე ვარ მგოსანი შვებისა და სიყვარულისა,
მაგრამ მგელთან კი მე არ ვიცი სხვა რამ პირობა:
მძულს მისვლა მისი, მიქურდულის, მიპარულისა,
და არც გაშვება მისი ცოცხლად არის გმირობა!..
ბრძოლა მათ, ვინც რომ ძალადობით არის ცნობილი!
ბრძოლა მას, ვინც რომ სხვის კარებზე აცეცებს თვალებს!..
თუმც ის პატრონის არც ძმა არის, არცა ძმობილი
და არც მოკეთე, რომ მიცემულს ითხოვდეს ვალებს...
არ უთესია, სამკელად კი მიაქვს ცელები,
არა სჯერდება მშვიდათ მოხრილ ელვარე ნამგალს:
სჯიჯგნის სხვის ნათესს განმწიკვლული მისი ხელები
და სრავს სიცოცხლეს თითქოს მშვიდათ იღებდეს სამკალს...
და როცა შორით გადავხედავ ჩინეთის ველებს,
სადაც ხნულები ხარობენ, ვით საქართველოში,
ვით ძე-მშობლისკენ, ისე ვწვდი მე იმისკენ ხელებს
და ოფლს, იქ დაღვრილს, მარგალიტად ვსთვლი ჩემს მდელოში!..
მას ემატება ახლა სისხლიც მშრომელი ხალხის,
ჰლვრის იმას ბრიტი, იანკი თუ ისევ ჩინელი,
ჩემთვის ერთია: ვით ნიშანი გლოვის და თალხის,
საზიზღარია ეს მოვლენა და საშინელი!..
და ბედით, ვსთქვათ, მე ოდეს ეგზომ გავბედნიერდე,
რომ გასავლელად დავსდგა ფეხი ჩინეთის ველზე,
სხვა რა შეგპირდეთ?!. გითხრათ უნდა, გავკადნიერდე:
„ჩინელ მუშის მკლავს საგანძურად გადვიჭდობ ყელზე!..“

**ნ. ზომლეთელი.**

# ნატახტარის წყაროები თბილისში

ცნობილია, რომ თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა გამოიყვანოს თბილისში ახალი წყალსადენი. ამისათვის გადადებულია საჭირო თანხა და სწრმოებს დიდი მუშაობა.

დღევანდელი წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებას. წყალი არის ცოტა, საჭიროა მომჭირნეობა. ღირსებითაც დღევანდელი წყალი ვერაა საკმაოთ კარგი.

ეს გარემოება გვეუბნება, რომ საჭიროა თბილისისათვის ახალი წყალსადენი. ამიტომაც ქალაქის აღმასკომი და მისი კომუნალური განყოფილება უკვე ორი წელიწადია შეუდგა ენერგიულ მუშაობას და ნაყოფი უკვე თვალსაჩენია გამოკვლევა და წინასწარი მუშაობა უკვე დასრულებულია.

ახალ წყალსადენის გამოსაყვანად არსებობს ორი ვარიანტი; ერთი ნატახტარიდან და მეორე ბულაჩაურიდან.

ორივე ეს ალაგი მდიდარია წყაროებით, მდებარეობენ მცხეთიდან, სამხედრო გზით, არაგვის ნაპირას, 5—7 ვერსის მანძილზე. ნატახტარი არაგვის მარჯვენა, ხოლო ბულაჩაური ამავე მდინარის მარცხენა მხარეს.

ამ წყაროების ისტორია ცოტა ძველია. ჯერ კიდევ ომამდი აღიძრა საკითხი ამ წყაროების თბილისში გამოყვანის, მაგრამ ის ვერ მოხერხდა. მენშევიკებმაც მიაპყრეს ამ წყაროებს ყურადღება, მაგრამ ამათ ვერ შესძლეს წყაროების ნიადაგის გამოკვლევა და ფიქრობდენ პირდაპირ არაგვიდან წყალის გამოყვანას.

საბჭოთა ხელისუფლებამ სერიოზულათ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. მეცნიერულათ იქნა გამოკვლეული არსებულ წყაროების მდებარეობა, მისი წყლის დებეტი, და დღეს უკვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ახალი წყალსადენის საქმე, მისი გამოყვანა, გადაწყვეტილია.

საინტერესოა გავეცნოთ მოკლედ იმ დიდ მუშაობას, რაც აქ უწარმოებია ჩვენს კომუნალურ განყოფილებას, თავისი სპეცებით და ინჟინერ-ტეხნიკებით.

ნატახტარის წყაროები თავისი ღირსებით და წყლის რაოდენობით სავსებით დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ისმის საკითხი: იქნება ის მუდამ დამაკმაყოფილებელი? იქნება მისი დებეტი მუდამ საკმაო და წყალის ღირსება მუდამ კარგი?

ამის გამოსაკვლევად ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სწარმოებს.

ამ მიზნით სპეციალისტ-ინჟინრები შეუდგენ ამ წყაროების სამეფოში, შერჩეულ ალაგებზე ღრმა ჭების ამოღებას. ამ ჭებში წყალი აღმოჩნდა ზოგან 20-სა და ზოგანაც 40 საჟენზე. არაგვის სიახლოეს ამოღებულ ჭებში ამოსული წყალი ენათესავება ამავე მდინარის წყალს. აშკარაა აქედან, რომ ეს ჭები საზრდოობენ მდინარე არაგვიდან.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ არაგვის ახლო მდებარე წყაროები საზრდოობენ ამავე მდინარესაგან და ამიტომ ამ წყაროების მუდმიობა და ხარისხი უდავოა, უზრუნველყოფილია. და ეს ასე იქნება მანამ, სანამ მდ. არაგვი ძირს არ დაიწევს 20—30 საჟ., რაც შეუძლებელია ერთის მხრით, თვით ნიადაგის გამო და მეორეს მხრით ზაგესის აგებით, რომელმაც დიდათ შეანელა არაგვის ჩქარი მსვლელობა და ამით შეაჩერა მდინარის დაბლა დაწევა.

საცდელი ჭების რაოდენობა დღეს-დღეობით უდრის 120. იბურღება კიდევ ახალი ჭები. ზოგი ჭიდან წყალი შადრევანივით ორი, სამი საჟენით მაღლა სცემს.

სოფელ წილკანის ახლოს 60 მეტრის სიმაღლეზე ამობურღულია ჭა, რომლის მშვენიერი წყალით დღეს სარგებლობს სოფელი წილკანი და ამ სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც სრულიად მოკლებული იყყვენ რიგიან სასმელ წყალს.

სოფელი **ახალი უბანიც** უკვე სარგებლობს ამ ჭებიდან ამოხეთქილი წყალით.

რომელი წყაროები უფრო გამოსადეგია თბილისისთვის? აყენებს საკითხს ინჟენერი დიასამიძე და თვითონ აძლევს უპირატესობას ნატახტარის წყაროებს, თუმცა ბულაჩაურის წყაროები უფრო მაღლა მდებარეობენ და აქედან წყალი თავისით, დაუქაჩავათ ჩამოვა ქალაქის დღევანდელ უმაღლეს ადგილებშიც-კი. ნატახტარის წყაროების წყალი კი დაუქაჩავებლად მოვა თბილისის მხოლოდ დაბალ ადგილებამდე.

მიუხედავად ამისა, ნატახტარის წყაროების გამოყვანა დაჯდება ოთხი, ხოლო ბალჩაურის შვიდი მილიონი მანეთი.

ამრიგათ ცხადია უპირატესობა მიეცემა ნატახტარის წყაროებს.

---

ასე მიდის თბილისში საუკეთესო წყლის მიღების საქმე.

ს. დოლიძე.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მენშევიზმი და საბჭოთა საქართველო

ახალს ვერაფერს ვერ ვიტყვით იმის აღნიშვნით, რომ მენშევიზმმა დიდი ხანია უღალატა პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს, და იგი საბოლოოდ გადაბარგდა წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგთა ბანაკში. ოპორტიუნიზმი მენშევიზმისთვის თან დაყოლილი თვისება იყო და ამ მხრივ, დღევანდელი მათი პოლიტკური სოციალ-გამყიდველობა ახალი ამბავიც არაა. მხოლოდ ჩვენთვის საინტერესოა უკანასკნელი ეტაპი ქართველი მენშევიზმისა. საინტერესოა ვიცოდეთ სანამდე მივიდა ქართული მენშევიზმი.

---

ქართულ მენშევიზმის ბელადს ნ. ჟორდანიას, ოქტომბრის დიდ რევოლიუციამდე ვერც წარმოედგინა საქართველოს რუსეთიდან გამოყოფა; და ეს იმ დროს, როდესაც მსოფლიო რევოლიუციის ბელადი ლენინი და ბოლშევიკური პარტია რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ დღის წესრიგში სვამდენ წვრილ ერთა დამოუკიდებლობის საკითხს. მაგრამ რას ვხედავთ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ? იფეთქებს თუ არა რუსეთში ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუცია კერენსკის კოალიციონურ მთავრობაში მყოფი ქართველი მენშევიკები: ჩხეიძე, წერეთელი ზურგს აქცევენ და გამორბიან საქართველოში.

---

რატომ გაექცა მენშევიზმი ოქტომბრის რევოლიუციას. ეს ნათელია ყველა იმათთვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს, მენშევიზმის გამყიდველურ ბუნებას. რაკი მენშევიზმი საბოლოოდ ჩამოშორდა პროლეტარიატის იდეოლოგიას, აშკარაა იგი ვერ შეურიგდებოდა პროლეტარიატის დიქტატურას. სწორედ ეს იყო მიზეზი ოქტომბრის რევოლიუციიდან დევნილ მენშევიზმს, სადაც უნდა ეძება დროებით თავშესაფარი და მან ასეთი თავშესაფარი საქართველოში მონახა. ეს იყო საქართველოს პროლეტარიატის ჩამოშორება რუსეთის პროლეტარიატისაგან, და ამით მისი გამიჯვნა პროლეტარულ რევოლიუციისაგან.

საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებლად, რითაც მენშევიზმმა უარჰყო თავის ეროვნული პოლიტიკა. საქართველოს პროლეტარიატი მართლაც ჩამოშორდა რუსეთისას, იმ მწვავე მომენტში, როდესაც რუსეთის ძლევა-მოსილი ოქტომბრის რევოლიუციის ყოფნა არ ყოფნის საკითხი მწვავედ იდგა, შავრაზმულ კონტრ-რევოლიუციისაგან გარემოცვის გამო. მაშინ, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი, სამოქალაქო ომში გახვეული, თავგამოდებით ებრძოდა კონტრ-რევოლიუციონურ ხროვას, საქართველოს პროლეტარიატი არა თუ არ ეხმარებოდა მას, მესვეურების მიერ გაბრიყვებული, მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ამრიგად ამ ორი ქვეყნის პროლეტარიატი, რომელთაც აერთიანებდა მრავალი რევოლიუციონური ბრძოლის წარსული, მენშევიზმის წყალობით ერთმანეთს დაშორდენ.

რას წარმოადგენდა მენშევიკების დროს საქართველო? რაში დგომარეობდა მისი დამოუკიდებლობა?

ეკონომიური სიღატაკე ხომ დღითი-დღე მწვავდებოდა, ნადგურდებოდა ნაციონალური სიმდიდრე და ხალხის მთელი მეურნეობა. დამოუკიდებლობა ხომ ფიქციად იყო გადაქცეული. ვინ მოსთვლის რა და რა ჯურის იმპერიალისტური ბანდა არ დათარეშობდა იმ დროს საქართველოში. ჯერ გერმანიის და შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის უბრალო ოფიცრებიც კი ისე ათამაშებდენ ჟორდანიას მთავრობას, როგორც მოესურვებოდათ. მაგრამ ყველაზე სამარცხვინო მენშევიზმისათვის იყო მათი კავშირი, რუსეთის მონარქისტ-რეაქციონერებთან. რუსეთიდან გამოდევნილ კონტრ-რევოლიუციის თავშესაფარს მაშინ მხოლოდ დემოკრატიული საქართველო წარმოადგენდა. ამას ნათლად ღაღადებს ე. გეგეჭკორის განცხადება გენერალ ალექსეევთან მოლაპარაკების დროს: „ჩვენ და თქვენ ორივენი ერთ წერტილში ურტყამთო“. ე. ი. დემოკრატიული საქართველო და რუსეთის მონარქისტული კონტრ-რევოლიუცია თურმე ერთ წერტილში სცემენ და ეს წერტილი იყო ოქტომბრის რევოლიუცია. აი, აქამდის მივიდა მენშევიზმის მოღალატური ბუნება, რომლისთვის უძვირფასესია რუსეთის მონარქისტები, ვინემ ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუცია. ეს ნათლადაც გამოხატა ნ. ჟორდანიამ ერთ მის ცნობილ ფრაზაში: „მე აღმოსავლეთის ფანატიკოსებს, დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნიაო“.

საქართველოს პროლეტარიატმა დროზე აუღო ალღო მენშევიზმის მოღალატურ ბუნებას და გამყიდველურ პოლიტიკას, და ჩვენ მოწამენი შევიქენით საქართველოში სამი წლის განმავლობაში მრავალ პროლეტარულ და ბოგანო გლეხობის აჯანყების.

მენშევიზმის დამხობა საქართველოში აუცილებელი იყო. 1921 წლის 25 თებერვლის აქტი, აუცილებლად დიდი აქტია საქართველოში პროლეტარიატის გამარჯვებისა. ამ დღიდან უპირველეს ყოვლისა გაქრა ეროვნული შოვინიზმი და კაციჭამიაობა. ქართველმა ერმაც დაისვენა გამუდმებულ ომებისაგან, რომელიც მენშევიკების ბატონობის დროს თითქმის ყოველთვის ჰქონდა მეზობელ ერებთან. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელთ მიანიჭა მყუდროება. იგი, დღიდან საქართველოში დამყარებისა, შეუდგა ეკონომიურ აღორძინების, სამეურნეო გაჯანსაღების და კულტურულ აყვავების

საქმეს. დღეს ცოტანი თუ მოიპოვებიან ურწმუნო თომები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ვერ ხედვენ იმას, რომ არ სურთ დაინახონ. მრავალი სარწყავი არხები არის გაყვანილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ... ზაჰესი, აჭჰესი და რიონჰესი უდიდესი მიღწევაა პატარა საქართველოსთვის: ფაბრიკები, ქარხნები ბლომად აშენდა და შენდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ვის არ ახსოვს რა მდგომარეობაში იყო ჩვენი სახალხო მეურნეობა დემოკრატიულ ხელისუფლების დროს.

ყოველი ეს კარგად ახსოვს თვით საზღვარგარეთ გაქცეულ დემოკრატიულ „მთავრობასაც“, მაგრამ ის მაინც უსირცხვილოთ გაიძახს: „მოსკოვის ოკუპანტებმა ჩაჰკლეს საქართველოს მეურნეობის განვითარება და კულტურული აღორძინებაო“. მაგრამ დღეს ვისთვის არ არის ნათელი, რომ ქართული კულტურა ისე მიდის წინ, როგორც არასოდეს. ქართული უნივერსიტეტი, ქართული მუზეუმი, ქართული მწერლობის და ხელოვნების აყვავება, ბეჭდვისა და სხვა ამგვარი დღეს ისეთი ძლიერია ჩვენში, რომელსაც საქართველო ოდესლაც იდეალად თუ დაისახავდა.

ყველა ამას ხედავს ქართველი მშრომელი მასა როგორც თვითონ უშუალოდ არის ჩაბმული თავისი საკუთარი სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. და სწორედ ეს არ აძლევს მოსვენებას ჟორდანია-რამიშვილს. ისინი ჩინებულად გრძნობენ, რომ დღითი დღე კარგავენ ჯარს და რჩებიან უჯარო გენერლებათ. ამიტომ გზავნიან ისისი სადირექტივო წერილებს, ამიტომ ცდილობენ ქართველი ხალხის აჯანყებას... მაგრამ ამაოა მათი იმედები. დღეს ისინი ვერ შესძლებენ ავგისტოს ავანტიურის განმეორებას. დღეს ხალხმა უკვე გაუცნო გემო მათ „მოღვაწეობას“. ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილები მხოლოდ მათი იდეოლოგიურად გახრწნისა და დაღუპვის სრული დამამტკიცებელია. მაგრამ ამაზე საკმაოდ დაიწერა ქართულ პრესაში და კიდევ ლაპარაკი მეტია. მხოლოდ არ შემიძლია ზოგიერთ რამეზე არ ვსთქვა; მენშევიკების მიერ ეკლესიაზე მზრუნველობის შესახებ. განა ამის შემდეგ შეუძლიან სთქვან მენშევიკებს, რომ მათში არის დარჩენილი ნატამალი რევოლიუციონურ მარქსიზმის?!. სად მარქსიზმი და სად ისეთი ორგანიზაციის მფარველობა, რომელიც თვით მარქსის თქმით მშრომელთათვის ოპიუმია. სამღვდელოება—ეს ჯაშუშთა ბრბო, თვითმპყრობელობის მარჯვენა ხელი.—აი ვის მფარველობენ ჟორდანია-რამიშვილები, აი ვისი საშუალებით ფიქრობენ ქართველი ხალხის მიმხრობას და საბჭოთა წყობილების დამხობას. ნუ თუ ეს სამარცხვინო ლაქა არ არის თუნდაც ყოფილი მარქსისტებისთვის? მაგრამ განა მარტო ეს არის მათი სამარცხვინო ლაქა? რითი სჯობს ამას ეროვნულ-დემოკრატების განადგურებულ პარტიის აღდგენაზე ზრუნვა? მაგრამ რა გასაკვირია მენშევიკებისაგან ეკლესიაზე და ეროვნულ-დემოკრატებზე ზრუნვა, როდესაც ისინი ჯერ კიდევ საქართველოში ბატონობის დროს აშკარა კონტაქტში იყვენ რუსეთის შავრაზმელ-მონარქისტებთან?

ისინი ვითომც უფრთხიან ფაშისტურ რეაქციას, მაგრამ განა კი შეიძლება დღეს ქართველ მენშევიზმზე უარესი ფაშიზმი?! ამის შემდეგ თვითონ ურწმუნო თომას თუ შეუძლია არ დაიჯეროს, რომ მენშევიზმმა საბოლოდ უღალატა მარქსიზმს, რომ იგი გაირიყა პროლეტარიატისაგან. მენშევიზმი დღეს იგივე დაშნაკელებია. იგი წმინდა წყლის ეროვნულ-ნაციონალისტურ პარტიად გარდაიქმნა, რომელშიც თავისუფლად შეუძლია მოიკალათონ ისეთმა ჭრელმა მასამ, როგორიცაა: სამღვდელოება, ყოფილი მემამულეები და ყველა იმათ, რომლებიც შეურაცყოფილად გრძნობენ თავს საბჭოთა წყობილების მიერ.

ამ ჭრელ მასას აშკარად მოუწოდებენ ჟორდანია-რამიშვილი აჯანყებისაკენ. პარიზში თავმოკალათებულებს, ეტყობა არაფერი არ გაეგებათ საბჭოთა საქართველოს სინამდვილისა, რომ კვლავ ოცნებობენ ავგისტოს მსგავს ამბებზე... დეე ოცნებონ, მათ ხომ სხვა არაფერი არ დარჩენიათ. სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ისინი მოსვენებას არ გვაძლევენ ახალ-ახალი პროვოკაციით. ან კი რა ენაღვლებათ? უეჭველია ასეთ „საქმიანობისათვის“ ისინი დიდ „გასამრჯელოსაც“ იღებენ ევროპის კაპიტალისტებისაგან. ხალხის ინტერესი ხომ დიდი ხანია მათ არც იმდენად აწუხებს?

დღეს პოლიტიკურ ბავშვს თუ შეუძლია იმის დაჯერება, რომ საბჭოთა წყობილების დამარცხების შემდეგ, შესაძლებელი იყოს მენშევიზმის რესტავრაცია საქართველოში. ვინც ამას ფიქრობს, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს საბჭოთა სინამდვილეზე. მან არ იცის, რომ დღეს საბჭოთა კავშირში ქვეყნის ბატონ-პატრონი პროლეტარიატია; მაშასადამე იგი თავისთავს არ მოუწყობს გართულებას...

რაც შეეხება სხვადასხვა ეროვნების აჯანყებას აქ, ალბათ, ემიგრაციას წარმოუდგენია საბჭოთა კავშირში ისეთი ეროვნული ანტაგონიზმი, როგორიც იყო ჩვენში მენშევიკების ბატონობის დროს. მოსალოდნელია გარეგანი სამხედრო გართულება და აი ამ დროს ჟორდანია-რამიშვილები მოუწოდებენ ქართველ მხედრობას დეზერტირობისაკენ, ხოლო მოხერხებულ მომენტში საბჭოთა ხელისუფლებისადმი ზურგში მახვილის ჩაცემისაკენ. მაგრამ ეს ხომ უდიდესი მოღალატეობაა რევოლიუციისადმი... და ქართველი მშრომელი ხალხის შვილები, ჯარისკაცების ტანისამოსში გამოწყობილები, ასეთ მოღალატეობას არ ჩაიდენენ თავისი საკუთარი ქვეყნის წინაშე. დღეს ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქართველი, რომელმაც არ იცოდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ღალატი თვით საქართველოს, თვით მისი დამოუკიდებლობის ღალატია—დღეს ვინ არ იცის, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება დაეცა, ქვეყანას დაეპატრონება ვინმე თეთრი გენერალი და მაშინ მშვიდობით საქართველოსა და ყველა პატარა ერების დამოუკიდებლობა! მაშინ ყველა უნდა გამოეთხოვოს არა თუ სოციალიზმს, მასზე ოცნებასაც კი.

საქართველოს დღეს აქვს საუკეთესო დამოუკიდებლობა, მინიჭებული საბჭოთა წყობილების მიერ, რომლის დასაცავად მოვალე ვართ ვიბრძოლოთ ყველა ყოფილმა ახალგ. მარქსისტებმა და ყველა იმ შეგნებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ, რომელთაც კი შესტკივათ გული იმ კლასისადმი, რომელთა ინტერესის გამომხატველია საბჭოთა წყობილება.

შორს ჩვენგან საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრაციის ავანტიურისტული ზრახვები.

**კომახიძე.**

# მორიგ პროვოკაციის გამო

1924 წელს, როცა ავგისტოს „აჯანყება“ დაგმობილ იქნა ქართველი ხალხის მიერ, ამ ავანტიურის ავტორებმა ორივე ნოებმა ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან ხელი დაიბანეს და ავანტიურის მოწყობის მეთაურობა გადააბრალეს ადგილობრივად მომქმედ პარიტეტულ კომიტეტს.

ასეთი იყო ნოე ჟორდანიას განცხადება 1924 წ. ასე დაიბანეს ხელი აჯანყების მოწყობის საქმეში ჟორდანია-რამიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ყველასთვის აშკარა იყო, რომ საქართველოს უბედურების ავტორები და რეჟისორები ჟორდანია-რამიშვილი იყვენ. ჟორდანია-რამიშვილის მიერ უკანასკნელად მოძღვნილ პროვოკაციულ დირექტივაში ნათქვამია: „შეიძლება ეს სამივე კომბინაცია ერთად მოხდეს, შეიძლება რამე მეოთხე მოხთეს. ამიტომ ჩემი დირექტივა არ არის უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ ბოძებული: ერთი კი აშკარაა, რომ მარტოთ-მარტო არ უნდა გამოვიდეთ და თავისთავი იზოლიაციაში არ მოვახდინოთ“... „არიან ჯგუფები, მსურველნი ჩვენი ცალკე გამოსვლისა, ასეთებია პირველ ყოვლისა თვით ბოლშევიკები, ომის დროს ისინი მოგვაწყობენ პროვოკაციას, რომ ერთხელ და სამუდამოთ საქართველოს

საკითხი გადასწყვიტონ მისი გაყლეტით". ზემოთ მოყვანილი პირველი ადგილი ნ. ჟ. წერილისა უკვე ნათლად ამბობს რომ ქართველი ხალხი უნდა აუჯანყდეს თავის საკუთარ მთავრობას.

ამრიგად ჟორდანია-რამიშვილი იარაღს ასხამენ ქართველ ხალხს და მოუწოდებენ თავის საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

თუ ნ. ჟ. გაიძახის ბოლშევიკებმა პროვოკაცია არ მოგვიწყონო, ეს არის მხოლოდ თვალის ახვევა ქართველი მშრომელი ხალხის. და ამ უკანასკნელს ქართველ მშრომელ ხალხს უფლება აქვს თქვას, რომ მისი ყოფილი ხელმძღვანელები დღევანდელი თავიანთი პოლიტიკით არიან ქართველი ხალხის დაუნდობელი მოღალატეები და ევლინებიან საქართველოს მშრომელთ ლას. ევროპის კაპიტალის აგენტებად. შევჩერდეთ კიდევ ნ. ჟ. დირექტივების სხვა ადგილებზეც: „რუსეთ-ინგლისის ანტაგონიზმი დღეს იმ ზომამდეა მისული, რომ ის ვერ გადაწყდება მოლაპარაკებით და მშვიდობიანად, ან რუსეთი ან ინგლისი აზიაში. ასე სდგას საკითხი, ამჟამად ინგლისი ახდენს ანტი-საბჭოთა ძალების შეყრას. ევროპის პოლიტიკის მთავარი ღერძი აქ მარხია. ამ მოსალოდნელ იმპერიალისტურ შეჯახებაში საქართველოს პოზიცია ნათელია".

როგორც ხედავთ, ნ. ჟ. აკეთებს ისტორიულ „ანალიზებს" და დაასკვნის, რომ ხელსაყრელ მომენტში საქართველომ თავი უნდა „გაინთავისუფლოს" ბოლშევიკებისაგან, რომ აღსდგეს „დამოუკიდებლობა".

ნ. ჟ. დამოუკიდებლობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა მაგრამ მაინც შევეხოთ მას ორიოდე სიტყვით ისევ ნ. ჟ. არსენალიდან: „ის (საქართველო) ისე, როგორც რუსეთის ყველა ხალხები, მოსურნეა მოსკოვის დაცემისა, მარა თვით შეტაკებაში მონაწილეობას არ მიიღებს და იქნება ნეიტრალი, სანამ მისი პერსპექტივა საბოლოოდ არ გამოირკვევა. ეს გამორკვევა კი შეუძლია ჩვენს მთავრობას ევროპაში, ის აქტიურად გამოვა მხოლოდ მაშინ, როცა მოსკოვი საბოლოოდ დამარცხდება და ჩვენ მივიღებთ საბოლოო გარანტიას დამოუკიდებლობისას".

კეთილი და პატიოსანი, მარა საინტერესოა თუ ვისგან მიიღებს ნ. ჟორდანია ამ „დამოუკიდებლობის გარანტიას"? ინგლისისაგან? „მომავალი" შავრაზმული რუსეთისაგან?

—

არც ერთი და არც მეორე საქართველოს მშრომელთ დამოუკიდებლობის აჩრდილს არ დაანახვებს. ეს იცის ჟორდანია-რამიშვილმა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათ სხვანაირად არ შეუძლიათ დღეს აზროვნება. რატომ?

იმიტომ, რომ ისინი ბოლშევიზმის წინააღმდეგ იბრძვიან და ეს კი ნიშნავს ბურჟუაზიასთან და მუშათა კლასის ყველა ჯურის გამცემლებთან შეთანხმებას. ეს არის მარტო ქარ. მენშევიკური ემიგრაციის ფილოსოფია, ეს არის მენშევიზმის დღევანდელი პოლიტიკის შინაარსი.

ნ. ჟ. თითქოს ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი მით, რომ მას „ჰყავს" საქართველოში თავისი „პარტია". ეტყობა, მას დღესაც არ სცოდნია, რომ საქართველოში არავითარი სოც.-დემ. მუშათა პარტია არ არსებობს, ის იყო ძველად დიდი პარტია მუშების; დღეს კი ის მუშები, რომელნიც მენშევიკური პარტიის სულის ჩამდგმელები იყვენ, სავსებით ჩამოსცილდენ ყოფ. პარტიას და პირდაპირ მივიდენ კომპარტიასთან და ლენინის სახელს ფიცულობენ. რაც შეეხება ანტი-ბოლშევიკურ ძალას, ასეთი რა თქმა უნდა საქართველოში მოიპოვება. ვინ არიან ესენი? სამღვდელოება, ყოფილი მემამულეები, მესაკუთრეები და სხვადასხვა ვიწრო უორგანიზაციო ჯგუფები, რომელნიც დააზარალა ოქტომბრის რევოლუციამ.

ესენი თუ სოციალ-დემოკრატიაა, ან მისი წევრები, ინებონ, მაგრამ ამათ პროლეტარულ ატრიბუტებზე ლაპარაკი შეუძლებელია.

რას ამბობს კიდევ ნ. ჟ.?

„ბოლშევიკურმა წყობილებამ დაანგრია ქართველი ერი, მისი ნაციონალური წყობილება, და კულტურა, მაგრამ სხვა არაისტორიული ერები ნაციონალურად წინ წასწია და აღორძინების გზაზე დააყენა". ჟორდანიამ კარგად იცის, რომ საბჭოთა სისტემა ერთად-ერთი წყობილება შეიქნა საქართველოს ისტორიის დიდ მანძილზე, რომელმაც შესძლო მისი ეროვნული კულტურის და ეკონომიკის მტკიცე საფუძვლების გამოჭედაც.

საქართველოს მშრომელი საზღვარგარეთ გადახვეწილ ლიდერებს ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ დღევანდელი საქართველო არის ყოფ. რუსეთის ნანგრევებზე ახლად აშენებული საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის უზენაეს მთავრობას აქვს აღებული კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციისაკენ.

—

საქართველო არის დიდ კავშირში შემავალი რესპუბლიკა, რომელიც სარგებლობს თანასწორი უფლებებით სხვა რესპუბლიკებთან ერთად. ეს იცის ქართველმა ხალხმა, ქართველმა მუშათა კლასმა, ეს იცის ჩვენმა მშრომელმა ინტელიგენციამ და ისინი ერთგულად ემსახურებიან თავის საბჭოთა საქართველოს ინტერესებს.

ქ. კობახიძე.

# წერილები პროვინციიდან

1 ივლისის შესდგა სამტრედიის რაიონის ყოფილ მენშევიკების და ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი. მოხსენება გააკეთა ამხ. საგინაძემ, რომელმაც დაწვრილებით გაარჩია ჟორდანია-რამიშვილის მიერ ახალი ავანტიურის მოსაწყობათ გამოგზავნილი სადირექტივო წერილები.

ორატორი დაწვრილებით აშუქებს იმ ბრძოლის მეთოდებს, რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია აწარმოებს ინგლისის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აღნიშნავს საბჭოთა კავშირის უდიდეს მშვიდობის მოყვარეობას და ეხება მე-2-ე ინტერნაციონალის მუშაობას და ამბობს, რომ ეს უკანასკნელი აშკარად გადაიქცა ბურჟუაზიის დამხმარე ორგანიზაციათო. დასასრულ ორატორი იგონებს 1924 წლის აგვისტოს ავანტიურას, მის დამღუპველ შედეგებს და კრებას უხსნის თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილებს და მოუწოდებს კრებას, გადაჭრით და გულწრფელად წინაღუდგეს ყოველგვარ ავანტიურას და გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამხ. ილია მანდარია აღნიშნავს საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციონურ ღვაწლს და ვრცლად ახასიათებს საბჭოთა კავშირის, როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობას, კლასთა ბრძოლის უაღრესად გამწვავებამ და იმ თანაგრძნობას, რომლითაც სარგებლობს რუსეთის რევოლიუცია საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში. ორატორი იგონებს რა წარსულ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურას და იმ დამღუპველ შედეგებს, რომელიც მას მოჰყვა, მიუთითებს საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ წინმსვლელობაზე, და აფრთხილებს კრებას მიიღოს ყოველივე ზომები, რომ არავინ არ წამოეგოს ჟორდანია-რამიშვილის ახალ პროვოკაციის ანკესზე. ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური მუშათა კომისიის წევრი ამხ. კაკელია ვრცლად აშუქებს თანამედროვე მომენტს, ჩერდება ახალგაზრდებში მუშაობაზე და აღნიშნავს,რომ ახალგაზრდობა, ნაწილობრივ, ეგება რამიშვილის პროვოკაციულ ანკესზედ და აუცილებელ საჭიროებათ სცნობს მუშაობის გაძლიერებას და გაღრმავებას ახალგაზრდებს შორის.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხანაგებმა: სევ. ხვიჩიამ, ალექსანდრე ფხაკაძემ (ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტი), ვარლამ ვაშაკიძემ, ჯ. უნგიაძემ, პროკლე დევიძემ, სილიბისტრო ხუნდაძემ, ლევან ბუაძემ, კალე ჭყონიამ. ყველა ორატორებმა აღნიშნეს მომენტის სიმწვავე და სერიოზულობა

და მოუწოდეს კრებას ერთი მთლიან ფრონტის შექმნისაკენ შეტევაზე გადმოსულ საერთაშორისო ბურჟუაზიის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ამის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მსოფლიო ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესები დღეს უდიდეს წინააღმდეგობაში არიან.

კაპიტალის გაუმაძღარი მადა ვერ ითმენს თავისი პოზიციების შერყევას. აღმოსავლეთის ერების განმანთავისუფლებელი მოძრაობა, საბჭოთა კავშირის ფართო სოციალისტური აღმშენებლობა და სოციალიზმის რეალური საფრთხე გაბატონებულ კლასებს უყენებს ყოფნა არ ყოფნის საკითხს.

ექსპლოატატორები არ ზოგავენ არც ერთ საშუალებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რადგან დედა-მიწის ერთ მეექვსედზე ბატონობს შრომა და ღალუპავს უქადის მსოფლიო იმპერიალიზმს. განწირული ძველი ქვეყანა ამზადებს საზიზღარ სისხლიან ბრძოლებს კომუნიზმის ნორჩი სამყაროს წინააღმდეგ და ყველა ჯურის რეაქციონური ნაძირალები ჯგუფდებიან კაპიტალის ინტერესების სამარცხვინო სამსახურისათვის.

ყველაფერი ეს მოითხოვს—საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ მთლიან, ფოლადისებური ნებისყოფით მსოფლიო დარაზვას, რომ დაცული იქნეს თავგანწირული ბრძოლებით შეძენილი რევოლიუციის ყველა მონაპოვრები და რომ ბრწყინვალეთ გამართლდეს პროლეტარიატის ისტორიული მოწოდება—ახალი შრომის ქვეყნის შექმნაზე.

ყოველი მუშა, ყოველი გლეხი, ყოველი პატიოსანი მშრომელი ინტელიგენტი ვალდებულია მთელი არსებით ემსახუროს რეაქციის წინააღმდეგ რევოლიუციის მთლიან ფრონტს.

საქართველოს მშრომელ მასებს, კაპიტალის გადაწყვეტ ბრძოლების პერიოდში დარჩეს უბრალო მაყურებლის როლში, შეუძლებელია, რომ მათ მთელის თავის ძალღონით არ ამოუდგეს გვერდში საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და არ დაიცვან რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარნი, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა საქმე მტკიცე გადაწყვეტილებით უნდა ჩადგეს საბჭოთა ერგულ გუშაგების რიგებში. ჩვენ მიუტოვებელ ღალატით და ხალხის სისხლით თამაშით მიგვაჩნია ასეთ მომენტში ჟორდანია-რამიშვილის წეთილებში გათვალისწინებული გზები.

იგი მიუღებელია არა მარტო რევოლიუციონურ-სოციალისტურ თვალსაზრისით, იგი პირდაპირ დამღუპველია ქართველ ხალხისათვის.

კმარა ეს გაურკვევლობა, დაბნეულობა და არევ-დარევა, რომელიც მათ შეიტანეს ჩვენს რიგებში

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნა და ამ კავშირის სიმტკიცე აძლევს საქართველოს მშრომელ ხალხს არა მარტო კულტურულ-ეკონომიურად განვითარების შესაძლებლობას, ის ჰქმნის საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობის უდიდეს საფუძვლებს.

გაიგოს ყველამ, რომ თუ საჭირო იქნება უდიდეს შეგნებით და რევოლიუციონურ ენტუზიაზმით ყველა ახალგაზრდები და ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები კომუნისტებთან ერთად ვიბრძოლებთ რევოლიუციონურ თავდაცვის დიად საქმისათვის.

გაუმარჯოს საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ შემჭიდროებულ რევოლიუციის მთლიან მუშათა ფრონტს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

## ოზურგეთის მაზრა

**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

12 ივნისს ღ. სუფსაში შესდგა სუფსის თემის ყოფ. მენშევიკთა კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო როგორც სუფსის, აგრეთვე მოსაზღვრე თემებიდანაც.

მოხსენება გააკეთეს ამხანაგებმა: ვ. მგელაძემ, მ. გურგუნეიძემ, ნ. ტიკარაძემ და ნ. ურუშაძემ, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს იმპერიალისტური სახელმწიფოების: ინგლისის მეთაურობით საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზეზები და აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის ბელადების პროლეტარიატისა და სოციალიზმის დამღუპველი პოზიცია. მომხსენებლებმა ფარდა ახადეს მენშევიზმის, და მუსავატელების ავანტიურისტულ, საზიზღარ მოქმედებას... და კრებას მოუწოდეს სრულის შეგნებით შეხვდენ მიმდინარე რთულ მომენტს, გვერდში ამოუდგენ კომუნისტურ ხელისუფლებას, და თუ საჭირო იქნება, იარაღით ხელში დაიცვან თავისი მუშურ-გლეხური საბჭოთა საქართველო.

კამათში მრავალმა გლეხმა მიიღო მონაწილეობა, რის შემდეგაც მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მუშათა კლასის სისხლის მსმელი ბურჟუაზია ინგლისის მთავრობის მეთაურობით ცდილობს საბჭოთა-კავშირის ომის ცეცხლში ჩათრევას. ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის შესაფერხებლად. ისინი აშკარად გამოდიან ყაჩაღურ როლში. თავს ესხმიან და მუსრს ავლებენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთის ხალხს, თავს ესხმიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობებს, როგორც ჩინეთში, ისე ინგლისში და სხვაგან... და ასეთ დროს მეორე ინტერნაციონალი მხარში უდგას იმპერიალისტურ ყაჩაღებს; მეორე ინტერნაციონალის ბელადები აგიტაციას ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იმპერიალისტების ლაქიების როლში გამოდის საერთოდ მსოფლიო მენშევიზმი და კერძოდ ქართული მენშევიზმი, რომლის ლიდერებსაც მოუწადინებიათ საქართველო გადააქციონ ბრძოლისა და სისხლის ღვრის ასპარეზად.

ჩვენ, სუფსის თემის ყოფილი მენშევიკები, საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ მტკიცედ ვსდგევართ საბჭოთა მუშურ-გლეხური საქართველოს სადარაჯოზე და მზად ვართ, თუ გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი ავანტიურისაგან. ზიზღს ვუცხადებთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და ვეუბნებით, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მათ ნანგრევებზე აფრიალდება წითელი კომუნისტური დროშა მუშათა კლასის გამარჯვებისა.

ზიზღი და საშვილიშვილო შერცხვენება ჟორდანია-რამიშვილსა და მათ ამხანაგებს, რომლებმაც არ გვაკმარეს აგვისტოს ავანტიურა და კიდევ უარეს გვიმზადებენ.

ძირს მენშევიზმი, სადაც იყოს იგი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ნ. ტიკარაძე.

## ალექსანდრე კაპანაძის განცხადება

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მე ვმუშაობ დღემდე ეკონომიურ ფრონტზე—კოოპერაციაში და ვიდექი პოლიტიკის გარეშე. დღეს პოლიტიკურ მდგომარეობის გართულების გამო, ყველა ინტელიგენტი, ცოტად თუ ბევრად პოლიტიკურად შეგნებული, მოვალეა ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას. ვიზიარებ „ახალ გზელების“ პოლიტიკას და მზათა ვარ ხელი შევუწყო მას და საჭიროების დროს გამომიყენონ რისი შემძლეც ვიქნები.

ალექსანდრე მელიტონისძე კაპანაძე.

**სარედაქციო კოლეგია.**

ოლმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.